კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№10 (1700) 24 — 30 აპრილი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ძალიან ჩახლართული კრიმინალური ამბავი

ვინ და რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ დაუნის სინდრომის მქონე სტუდენტი ბიჭი

„აქციის მონაწილეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომლებს, აგინებდნენ, საშინელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მათ, მათ ოჯახებს, შვილებს“

ვახტანგ გომელაური ინტერპელაციის წესით პარლამენტში იმყოფებოდა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რამდენად უსაფრთხოა სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

რატომ შეიცვალა უამრავჯერ საქართველოს კონსტიტუცია

ქვეყნის უმაღლესი კანონის 29-წლიანი ქრონიკა

რატომ შეიცვალა უამრავჯერ საქართველოს კონსტიტუცია

ქვეყნის უმაღლესი კანონის 29-წლიანი ქრონიკა

ნინო დოლიძე

დღის წესრიგში ისევ საკონსტიტუციო ცვლილებები დგას – მმართველი გუნდის ინიციატივით, ე.წ. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვები დაწყებულია. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია თუნდაც აშშ-ის უმაღლეს კანონთან შედარებით სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ თუ იგივე აშშ-ის კონსტიტუციაში ძალიან ბევრი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ცვლილება შევიდა, 1995 წლიდან მოყოლებული, ჩვენი კონსტიტუცია არაერთხელ შეიცვალა. „ვერსია“ არქივიდან სწორედ ჩვენი ბედკრული კონსტიტუციის ერთგვარ ანატომიას გთავაზობთ.

პრეისტორია

ყველაფერი 31 წლის წინ, კერძოდ, 1993 წლის 26 თებერვალს, დაახლოებით, ასე დაიწყო: საქართველოს მაშინდელი პირველი პირი, ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იმავდროულად, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს, საკანონმდებლო ორგანოს წინადადებით მიმართავს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შექმნას, რომელიც სახელმწიფოს ახალ ძირითად კანონს კი არ შეიმუშავებს, არამედ, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტს მოამზადებს. დაახლოებით, ერთ თვეში ანუ 1993 წლის 25 მარტს, ე.წ. იმელის პარლამენტი სპეციალურ დადგენილებას იღებს, რომლითაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იქმნება, მის თავმჯდომარედ დეპუტატები, ცხადია, ედუარდ შევარდნაძეს ირჩევენ, მოადგილეებად კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგეს, პროფესორ გივი ინწკირველსა და ვახტანგ ხმალაძეს. კომისიის მდივანი თსუ-ს პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი ხდება. საკონსტიტუციო კომისიაში სულ 118 ადამიანია – პარლამენტარები, იურისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და აკადემიკოსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები... ისე, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ქართულ კონსტიტუციას ავთანდილ დემეტრაშვილსა და ვახტანგ ხმალაძეზე, როგორც იტყვიან, ჯვარი აქვს დაწერილი: 2009 წლის 8 ივნისის საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ბატონი დემეტრაშვილი სახელმწიფო საკონსიტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება. რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძეს, შეიძლება, ოფიციალური სტატუსი დღეს არ აქვს, მაგრამ როგორც კულუარებში ამბობენ, „ოცნების“ მთავარი საკონსტიტუციო მრჩეველია. არადა, საქმეში ჩახედულთა შეფასებით, ამ ქვეყანაში ხმალაძეზე უკეთესი კონსტიტუციონალისტებიც არსებობენ. ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის X-ფაილზე მუშაობისას, ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ქართულ პოლიტიკას 90-იანი წლებიდან სწავლობს, „ვერსიას“ რიტორიკულად უთხრა: ვიდრე ხმალაძე ყველა დროსა და ეპოქაში ქვეყნის უმაღლესი კანონის ხან „მამის“ როლს შეასრულებს და ხანაც – „მამობილის“, პირადად მე, არ მგონია, საუკეთესო კონსტიტუცია მივიღოთო (!). ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, მართლაც, უცნაურია: ყველა ხელისუფლება აზრს იმ კონსტიტუციონალისტს ანუ ამ შემთხვევაში, ხმალაძეს რატომ ეკითხება, რომლის თანამონაწილეობითაც შექმნილი კონსტიტუცია, 29 წლის განმავლობაში, მილიონჯერ შეიცვალა? შეიძლება, ბატონი ხმალაძე თავის საქმეში ვარსკვლავებს ეთამაშება, მაგრამ ამ კითხვას არსებობის ლეგიტიმური უფლება აქვს ანუ თუკი თავის დროზე, მისი თანამონაწილეობით ისეთი უმაღლესი კანონი იქნა მიღებული, რომელმაც 20 ათეულ წელსაც ვერ გაუძლო, ვიღაცებს რატომ ჰგონიათ, რომ მისი რეკომენდაციებით შეცვლილი დღევანდელი კონსტიტუცია სამარადჟამოდ იარსებებს? სხვათა შორის, ამ კონტექსტში, ბატონ ხმალაძეს კითხვა ერთმა-ერთმა ქართულმა გამოცემამ დაუსვა. ინტერვიუში, რომელიც, რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა, ვკითხულობთ:

„... – შეცდომა მაშინ იყო დაშვებული, როცა 1995 წელს, კონსტიტუციაში ჩაიწერა, პრეზიდენტი პირდაპირი გზით აირჩევაო. შეცდომის გამოსწორება კი ყოველთვის რთული და ძნელია, ვიდრე – შეცდომისგან თავის დაცვა.

– პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევა შეცდომა რატომაა?

– ის პროექტი, რომელიც 1995 წელს, საკონსტიტუციო კომისიამ პარლამენტს წარუდგინა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მიუღებელი და რუსული მოდელი იყო. მოკლედ, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელსაც მაშინ პარლამენტმა კენჭი უყარა, პრეზიდენტის არჩევის წესი იყო. მახსოვს, მაშინ დავა ორ – ამ რუსულ და საპარლამენტოსთან ძალიან ახლოს მდგარ, დაახლოებით, ხორვატიის მოდელს შორის მიდიოდა.

– ქვეყნის მოწყობის რუსული მოდელი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტიც ძლიერია და საკანონმდებლო ორგანოც?

– არა, არა. მართალია, ეს სხვა თემაა, მაგრამ მაინც გეტყვით: რუსები ამბობენ, ეს ფრანგული მოდელიაო, მაგრამ პირადად მე, ფრანგი კონსტიტუციონალისტების, მათ შორის, რუსეთში გამოქვეყნებული წერილი მაქვს წაკითხული, სადაც ნათქვამია, ეს ფრანგული მოდელი არაა და ტყუილად ნუ ამბობთო. ფრანგული მოდელით, აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტსაც აქვს და მთავრობასაც, ოღონდ მკაფიო ზღვარი, თუ რა უფლებები აქვს პრეზიდენტს და რა – მთავრობას, გატარებული არაა.

რეალობა კი ასეთია: თუკი პარლამენტში თავისი უმრავლესობა აქვს, მაშინ აღმასრულებელი ხელისუფლების რეალური ხელმძღვანელი პრეზიდენტია, პრემიერ-მინისტრი კი უკანა პლანზე დგას. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში უმრავლესობა პრეზიდენტს კი არა, პრემიერს აქვს, მაშინ მათი ადგილები იცვლება, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება პრემიერის ხელში გადადის, პრეზიდენტი კი უკანა პლანზე ინაცვლებს.

ფრანგულისგან განსხვავებით, რუსული მოდელი იმის საშუალებას იძლევა, რომ ქვეყნის რეალური ხელმძღვანელი ან პრემიერი იყოს, ან პრეზიდენტი და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ამ თანამდებობებზე ვინ არის. თუ ბოლო ათწლეულს გადავხედავთ, რუსეთში პირველი პირი ყოველთვის პუტინია, მიუხედავად იმისა, მას პრეზიდენტის პოსტი უკავია, თუ პრემიერის.

– საქართველოზე რას იტყვით, ბატონო ვახტანგ?

– მოდელი, რომელიც 1995 წელს შემოიტანეს, ასეთი იყო: რუსულის მსგავსად, პრეზიდენტს ძალიან ბევრი უფლება ჰქონდა, მაგრამ პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა და განტევების ვაცი ყოველთვის მთავრობა იქნებოდა. ამ ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორი იქნებოდა პრეზიდენტის არჩევის წესი. კენჭისყრისას უპირატესობა, როგორც მახსოვს, სულ რაღაც ორი ხმით პრეზიდენტის პირდაპირი არჩევით წესს მიეცა. ბოლოს, ერთი მოდელიც შეიცვალა, მეორეც და საპრეზიდენტო რესპუბლიკა მივიღეთ.

საერთოდ, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი, მართლაც, პირდაპირი წესით უნდა ირჩეოდეს, ვინაიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქმნებიან ანუ ორივეს ხალხი ქმნის, თუმცა აქვე შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნები აშშ-შიც კი არაა პირდაპირი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

შინაგან საქმეთა სამინისტროში კონტეინერების კონტროლის პროგრამის მოქმედი მმართველი საბჭოს შეხვედრა გაიმართა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა (UNODჟ) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში მოქმედი მმართველი საბჭოს შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) შავი ზღვის რეგიონის კოორდინატორი ნაიდა შამილოვა უძღვებოდა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მმართველი საბჭოს შეხვედრის მიზანს პროგრამის მიმდინარეობის, მიღწეული შედეგებისა და ამ ეტაპზე არსებული გამოწვევების განხილვა წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში შექმნილია ერთობლივი დანაყოფი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპეციალური მეთოდიკის გამოყენებით სარისკო ქვეყნებიდან შემოსული კონტეინერების კონტროლს აწარმოებს ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების, ცეცხლსასროლი იარაღის, მასობრივი განადგურების იარაღისა და ბირთვული მასალები მიკვლევა-ამოღების მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად პროექტის ბენეფიციარია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და საბაჟო დეპარტამენტი.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, საქართველოში კონტეინერების კონტროლის პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალციხის სახანძრო-სამაშველო განყოფილებას აშშ-ის ელჩი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალციხის სახანძრო-სამაშველო განყოფილებას, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რობინ დანიგანი ეწვია. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა უმასპინძლა.

რობინ დანიგანმა ადგილზე დაათვალიერა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (ODC) მხარდაჭერით გადმოცემული, ტყის ხანძრებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის უახლესი მოდელის სპეციალური აღჭურვილობა. სპეციალური საშუალებები სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი და მათი გამოყენება, როგორც სახანძრო-სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად, ასევე-სასწავლო მიზნებით მოხდება. ამერიკული მხარისგან სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის გადმოცემა წარმატებული პარტნიორობის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომელიც მომავალშიც აქტიურად და ნაყოფიერად გაგრძელდება.

რატომ შეიცვალა უამრავჯერ საქართველოს კონსტიტუცია

მე-2 გვერდიდან

– აბა, როგორია?

– იურიდიული ფაკულტეტის ყველა სტუდენტმა იცის, რომ აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნები ირიბია და იცით, ასე რატომაა? – შტატების მიხედვით, ამომრჩევლები ე.წ. ხმოსნებს ირჩევენ, რომლებიც, თავის მხრივ, პრეზიდენტს ირჩევენ. ამიტომაც, იგივე ბოლო არჩევნებზეც ის მოხდა, რაც ყოველთვის ხდებოდა ანუ ხმოსნებმა ტრამპი აირჩიეს, მაგრამ ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი ხმოსნების უკან ორი თუ სამი მილიონით მეტი ამომრჩეველი იდგა. შესაბამისად, პირდაპირი რომ ყოფილიყო, მაშინ არჩევნებს კლინტონი მოიგებდა.

მოკლედ, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირი უნდა იყოს! საპრეზიდენტო მმართველობის დროს, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, მინისტრები კი, მისი მრჩევლები არიან – თავიანთ სფეროებში დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ საერთო საკითხებს პრეზიდენტი წყვეტს ანუ მინისტრებს უსმენს და საბოლოო გადაწყვეტილებას თავად იღებს.

საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლება არ აქვს. ქვეყნის მოწყობის ნებისმიერი მოდელის დროს, აღმასრულებელი ხელისუფლების პრიორიტეტი ისაა, რომ მხოლოდ საშინაო კი არა, საგარეო პოლიტიკაც განახორციელოს. ამასთან, ქვეყნის განვითარების პროექტი და ყოველწლიური ბიუჯეტი შექმნას, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს, თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა ის ბერკეტი, რომელიც ქვეყნის მართვისთვისაა საჭირო, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია. საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტს ამ ბერკეტებზე ხელიც არ უკიდია.

– ყველაფერი ეს, გასაგებია, ბატონო ვახტანგ, მაგრამ...

– ერთი წუთით, დამაცადეთ, თუ კამათი გინდათ, დავსხდეთ და ვიკამათოთ, მაგრამ თუ ინტერვიუ გინდათ, ინტერვიუ აიღეთ. ჩემი მოსაზრებები გაინტერესებთ, თუ ის, რომ ერთი-მეორე რაღაცაში დავარწმუნოთ?

– არაფერში გარწმუნებთ, უბრალოდ, შეკითხვას გისვამთ: იმ სიტუაციაში, როცა „ოცნების“ წარმომადგენლები პრეზიდენტს ემუქრებიან, თუ კარგად არ მოიქცევა, 2018 წლიდან, არაპირდაპირი გზით ავირჩევთო...

– ჩემი აზრით, სიტყვა გაექცათ“...

მოკლედ, შეიძლება, თავის დროზე, სიტყვა ბატონ ხმალაძესაც გაექცა, თუმცაღა ეს სხვა საუბრის თემაა. ამიტომ, მოდით, ისევ ქართული კონსტიტუციის ისტორიას დავუბრუნდეთ.

საერთოდ, ჩვენებურ კონსტიტუციონალიზმს სათავე მე-20 საუკუნის შორეულ 20-იან წლებში ჩაეყარა. ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, **„... 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება. კონსტიტუციაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბების ფსიქიკა, ყოფა, ზნე-ჩვეულება, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და საპარლამენტო პრაქტიკა. კონსტიტუციის შემუშავება სამ წელიწადს გაგრძელდა და მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს“,** მაგრამ ამ კონსტიტუციამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხი დღე იარსება – მოგეხსენებათ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს „წითელი კალიები“ შემოესივნენ, რომელთა ბატონობის დროსაც, საბჭოთა საქართველომ სულ ოთხი კონსტიტუცია გამოიცვალა: 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში მიღებული უმაღლესი კანონი, ტიპური საბჭოთა კონსტიტუცია გახლდათ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციისგან არაფრით განსხვავდებოდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები ტარდება. ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ მოძრაობას 1978 წლის ჯერ კიდევ მოქმედ საბჭოურ კონსტიტუციაში უამრავი ცვლილება შეაქვს. ასე, მაგალითად, ქვეყნის სახელწოდებიდან იღებს სიტყვათა კომბინაციას – „საბჭოთა სოციალისტური“ და სახელმწიფოს „საქართველოს რესპუბლიკას“ უწოდებს. ამასთან, იცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც, უქმდება კომუნისტური პარტიის, როგორც ხელმძღვანელის როლი და დასაბამი ეძლევა პოლიტიკურ პლურალიზმს. პარალელურად, კონსტიტუციიდან ქრება ისეთი ცნებები, როგორებიცაა, მაგალითად, „სოციალისტური საკუთრება“, „სოციალისტური კანონიერება“, „სოციალისტური დემოკრატია“...

„1991 წლის ბოლოს, არაკონსტიტუციური გზით, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება საქართველოს უზენაეს საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას. 1992 წლის 6 იანვარს, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო (ტრიუმვირატი) და დროებითი მთავრობა. სამხედრო საბჭომ ძალადაკარგულად გამოაცხადა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და კანონმდებლობა და 1992 წლის 21 თებერვალს, მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე. იმავე წელს, დაიშალა სამხედრო საბჭო და შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. 1921 წლის აღდგენილ კონსტიტუციას კი ისეთივე ბედი ეწია, როგორიც მიღების დროს – რეალურად, ერთი დღეც არ უმოქმედია, რადგან იმ დროსთან შეუსაბამო იყო“, – წერია ქართულ „ვიკიპედიაში“. ამავე წყაროს მიხედვით, 1992 წლის 6 ნოემბერს, მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებითაა ცნობილი... ე.წ. მცირე კონსტიტუცია ერთადერთი აქტი იყო, რომელიც კონსტიტუციის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში ძირითადი კანონის მაგივრობას სწევდა...

ასე და ამგვარად, 1993 წლის 25 მარტს შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი პროექტის რედაქციაზე მუშაობას ორ წელს ანდომებს და... 1995 წლის 24 აგვისტოს, პარლამენტი ქვეყნის უმაღლეს კანონს იღებს, რომლის ხელმოწერის ცერემონიაც 5 დღეში, ესე იგი, 29 აგვისტოს, ე.წ. პიონერთა სასახლეში უნდა გაიმართოს, მაგრამ 29 აგვისტოს კონსტიტუცია აღარავის ემახსოვრება, რამეთუ ამ დღეს, სახელმწიფოს მეთაურს ააფეთქებენ...

აფეთქება „იმელში“

„1995 წლის 29 აგვისტოს, კონსტიტუციის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ბომონდი და „ელიტარული ინტელიგენცია“ „მოსწავლეთა სასახლეში“ შეიკრიბა, სადაც უნდა გამართულიყო კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი. ელოდნენ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც სულ მალე უნდა მისულიყო მანქანით. მოულოდნელად, პარლამენტის შენობის (იმელის) მხრიდან მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა და ცაში შავი კვამლის სვეტი ავარდა. როგორც შემდგომ გაირკვა, აფეთქდა თეთრი ფერის „ნივა“. იგი პარლამენტის ეზოში, ავტოსადგომზე იდგა; ცეცხლი წაეკიდა ედუარდ შევარდნაძის მანქანასაც. სახელმწიფოს მეთაური სულ რამდენიმე წამით ადრე გამოიყვანეს ალმოდებული მანქანიდან, რომელიც მაშინვე მთლიანად დაიწვა“, – ესაა ამონარდი 1998 წელს, ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელშიც, ასევე, ვკითხულობთ – პირადი დაცვის წევრებმა ედუარდ შევარდნაძე „ჟიგულში“ გადასვეს და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. შევარდნაძე სერიოზულად არ დაშავებულა, მხოლოდ შუშის ნამსხვრევები შეეხო სახესა და მკერდში... პოლიტიკური თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძემ ეს აფეთქება ბრწყინვალედ გამოიყენა იმ დროს მთავარი მოწინააღმდეგის – „მხედრიონის“ გასანადგურებლად: რამდენიმე დღის შემდეგ, აიყვანეს გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი, შემდგომ სხვა „მხედრიონელები“ და ბოლოს, თვით ჯაბა იოსელიანიც... აფეთქების უშუალო ორგანიზატორობა ბრალად ედება გიგა გელაშვილს, რომელმაც „ღილაკს ხელი დააჭირა“. სხვა ბრალდებულები არიან უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ამ უწყებაში მოხვდნენ თემურ ხაჩიშვილთან ერთად ანუ იგივე „მხედრიონელები“.

ყველაზე საინტერესო მომენტი მთელ ამ ისტორიაში იგორ გიორგაძის როლია. „საინტერესო“ იმდენად, რამდენადაც ცხადს ხდის მომხდარის მოტივაციასა და შინაგან მექანიზმს. იყო თუ არა იგორ გიორგაძე ტერორისტული აქტის ორგანიზატორი? წინასწარი გამოძიებისას, „მხედრიონელები“ სწორედ მას „ადებდნენ ხელს“ და ამტკიცებდნენ, რომ იგორ გიორგაძე ყველა ტერაქტის უშუალო ორგანიზატორია... იგორ გიორგაძე „კა გე ბე“-ს ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მუშაკია. სტანდარტულ ვითარებაში, საბჭოთა კავშირის დროს, იგი „კა გე ბე“-ს რომელიმე რაიონის უფროსის თანამდებობაზე მაღლა ვერ წავიდოდა, მაგრამ დრომ და გარემოებამ საქართველოს სპეცსამსახურის ხელმძღვანელად აქცია, იმ სპეცსამსახურისა, რომელსაც, პრაქტიკულად, „მხედრიონი“ მართავდა“.

ჯაბა იოსელიანი ცოცხალი აღარაა, იგორ გიორგაძე კი, ორ ათეულ წელზე მეტია, ინტერპოლის მიერ იძებნება. შესაბამისად, დღესაც პასუხგაუცემელია კითხვა: რა მიზანი ჰქონდა 29 აგვისტოს ტერაქტს? ამ თემაზე მსჯელობა მხოლოდ ვერსიებით შეიძლება. ერთ-ერთი მთავარი ვერსია, რომელიც შევარდნაძის აფეთქებისთანავე გაჩნდება, ისაა, რომ სახელმწიფო მეთაურს კონსტიტუციისთვის ხელი არ უნდა მოეწერა ანუ წმინდა რუსული ნარატივი იყო, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, კონსტიტუცია არ ჰქონოდა. ქვეყანა კი, რომელსაც უმთავრესი კანონი არ აქვს, დამოუკიდებლობასა და, მით უფრო, დემოკრატიულობაზე თავს ვერ დადებს, რამეთუ, სწორედ კონსტიტუციაში წერია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-სა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით – საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ

დასასრული მე-4 გვერდზე

რატომ შეიცვალა უამრავჯერ საქართველოს კონსტიტუცია

მე-3 გვერდიდან

და სასამართლო ხელისუფლებად. ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფო ხელისუფლება სცნობს და აღიარებს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლსა და მის დამოუკიდებლობას“ (წყარო – ქართული „ვიკიპედია“).

უბედური ვარსკვლავი

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ საქართველოს კონსტიტუცია „უბედურ ვარსკვლავზეა“ დაბადებული. შეიძლება, ეს უტრირებული ნათქვამია, მაგრამ ფაქტია: 31 წლის განმავლობაში, სახელმწიფო მმართველობაში მოსულმა სხვადასხვა ყაიდის პოლიტიკოსებმა ქვეყნის უმთავრესი კანონი არაერთხელ, მომიტევეთ და, გააუპატიურეს. კონსტიტუციაზე ძალადობა კი პირველად, 1999 წლის 20 ივლისს განხორციელდა: სწორედ ამ დღეს, მიღებულ იქნა ორი კონსტიტუციური კანონი ანუ კონსტიტუციის 50-ე და 70-ე მუხლების ზოგიერთი დებულება შეიცვალა. ამ ცვლილებებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ საარჩევნო ბარიერი 5-დან 7%-მდე გაიზარდა. სხვათა შორის, ეს საკონსტიტუციო ცვლილება ფართო მასებს ერთი დეტალით დაამახსოვრდათ: ირინა სარიშვილი, რომელიც იმხანად მოქკავშირის რეფორმატორული ფრთის მაკრიტიკებელ-მაგინებელი იყო, ბარიერის გაზრდამ ისე აღაფრთოვანა, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში, მიხეილ სააკაშვილი ამბორით დააჯილდოვა, თუმცა სარიშვილ-სააკაშვილის 7%-იანი ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ყოველ შემთხვევაში, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, ქალბატონი პოლიტიკოსი მოქკავშირის რეტროგრადული ბანაკის ინტერესებს ამაგრებდა. დღეს კი საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სარიშვილი სააკაშვილის ინტერესების დამცველია, თუმცა ესეც სხვა საუბრის თემაა...

კონსიტუციაში შემდეგი ცვლილება 2000 წლის 20 აპრილსა და 2002 წლის 10 ოქტომბერს შევიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აჭარისა და აფხაზეთის სტატუსები ასე განისაზღვრა – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“ და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“.

2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონით, კონსტიტუციის მე-9, 66-ე, 73-ე და 89-ე მუხლები გადაისინჯა და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, კონსტიტუციური შეთანხმების დადების შესაძლებლობა დაიშვა.

2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონით, კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი გადაისინჯა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაწყებითთთან ერთად, საბაზისო განათლებაც სავალდებულო გახდა.

ერთ-ერთი მასშტაბური კონსტიტუციური რეფორმა 2004 წელს განხორციელდა, როცა ცვლილება 30-მდე მუხლს შეეხო. ამასთან, კონსტიტუციის ტექსტს ახალი, მეოთხე თავი ჩაემატა, რომელიც საქართველოს მთავრობას ეხება. 2004 წელსვე, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა 91-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება იყო. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი არსებითად შეეხო კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ფორმას ადგენდა ანუ საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად, შემოღებულ იქნა მმართველობის ფორმა, რომლის კონცეფციურ საფუძვლად ე.წ. ფრანგული მოდელი დასახელდა. აღსანიშნავია, რომ დღეს ვაკხანალია, სწორედ ამ ფორმის შეცვლაზეა ატეხილი...

2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონით, საქართველოს პარლამენტის წევრის იმუნიტეტის შინაარსი შეიცვალა. 2004 წლის 1 ივლისს, კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა, რომელიც მართალია, კონსტიტუციის ტექსტში არ შესულა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ასევე, ორგანოთა სისტემა და კომპეტენცია განისაზღვრა. ამავე კანონით, გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.

2005 წლის 23 თებერვლის ცვლილებით, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 235-დან 150-მდე შემცირდა, საპარლამენტო ფრაქციის შექმნისთვის კი, ათის ნაცვლად, შვიდი წევრის მოთხოვნა დადგინდა.

2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი და 26-ე მუხლების მე-5 პუნქტებს შეეხო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ფრაზა – „უშიშროების სამსახური“. 73-ე მუხლის ცვლილების თანახმად კი, პრეზიდენტს მიეცა უფლება, გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან დაითხოვოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები. ეს ცვლილება იმდროინდელმა ოპოზიციამ ხელზე დაიხვია, აი, სააკაშვილი საკუთარ უფლება-მოსილებას განუსაზღვრელად იზრდის და დიქტატორობას აპირებსო.

2005 წლის 27 დეკემბერს, კონსტიტუციურ კანონში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას შეეხო და რომლითაც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ასაკობრივი ცენზი, მოსამართლის და ასევე, უზენაეს სასამართლოს, როგორც უმაღლეს საკასაციო სასამართლოს სტატუსი დადგინდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ანუ 2006 წლის 27 დეკემბერს, ოთხი კონსტიტუციური კანონი მიიღეს. ერთ-ერთი მათგანით, სიკვდილით დასჯა აიკრძალა, მე-17 მუხლს კი მე-3 პუნქტი დაემატა, რომლის მიხედვითაც, დაკავებული პირის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება იკრძალება. 2006 წლის 27 დეკემბრის ცვლილებები პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდლის უფლებამოსილებებს, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების რეგულაციას, პრეზიდენტის უფლებამოსილებას საგარეო ურთიერთობაში, მართლმსაჯულებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკითხებსაც შეეხო, 2008 წლის 11 მარტის ცვლილებები კი – პრეზიდენტის უფლებამონაცვლეობას, მთავრობის შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის ანუ გუბერნატორის ინსტიტუტს შეეხო.

2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონით, საარჩევნო ბარიერი 5%-ით განისაზღვრა და ისე გამოვიდა, რომ ლამის ათწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, პოლიტიკური სპექტრი ისევ იქ დაბრუნდა, საიდანაც კონსტიტუციის ჭრა-კერვა დაიწყო. დღევანდელი საკონსტიტუციო ომის ერთ-ერთი საბაბი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ისევ საარჩევნო ბარიერია...

2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი იმპიჩმენტის საფუძველსა და პრეზიდენტის იმ უფლებას შეეხო, რომლის ძალითაც უმაღლეს მთავარსარდალს შეუძლია, თანამდებობიდან თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები გადააყენოს. ამავე ცვლილებით, პროკურატურის ორგანოები იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შევიდა.

2009 წლის 24 სექტემბრის კონსტიტუციური კანონით, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად ორი ქალაქი – თბილისი და ქუთაისი განისაზღვრა, რასაც მაშინდელი ოპოზიციის მხრიდან დიდი აჟიოტაჟი და ხმაური მოჰყვა. ისე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ 2012 წელს, „ოცნების“ ერთ-ერთი საარჩევნო დაპირება პარლამენტის თბილისში დაბრუნება იყო, თუმცა ახლანდელი ცვლილებების პროექტით, როგორც ირკვევა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ისევ ქუთაისში რჩება.

კონსტიტუციაში, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ცვლილება 2010 წლის 15 ოქტომბერს შევიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცვლილება კონსტიტუციის თითქმის ყველა ნაწილს, მათ შორის, პრეამბულასაც შეეხო. კერძოდ, პრეამბულის თხრობის სტილი შეიცვალა და ჩაიწერა, რომ კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს კი არა, არამედ, მის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას ემყარება.

ამასთან, ცვლილებები შევიდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ხელისუფლების ორგანოთა ნორმებში. კონსტიტუციას ჩაემატა მეშვიდე თავი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საკითხებს არეგულირებს.

2010 წლის 15 ოქტომბრის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებები ძალაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდა... ასე გახდა საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა ანუ პრეზიდენტმა დაკარგა მთავრობის მეთაურის ფუნქცია და მთავრობის ფორმირებაში ფორმალურადღა მონაწილეობს. სამაგიეროდ, გაიზარდა პრემიერ-მინისტრის უფლება-მოსილება. ამასთან, სრულიად შეიცვალა მთავრობის ფორმირების წესი ანუ დღემდე მოქმედი კონსტიტუციით, მთავრობას პრეზიდენტი კი არა, პარლამენტი აყალიბებს. მთავრობის უფლებამოსილება კი მოხსნილად ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე ითვლება. პრეზიდენტი მხოლოდ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ, მისთვის წარდგენილ პრემიერობის კანდიდატს წამოაყენებს, მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან ორი დღის ვადაში კი პრემიერს ნიშნავს.

2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმას საზოგადოების დიდი კრიტიკა მოჰყვა. სწორედ ეს აყალმაყალი დაედო საფუძვლად ამჟამინდელ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადებას. სხვათა შორის, ადამიანები, რომლებიც მაშინ ოპოზიციაში იყვნენ, ახლა კი ხელისუფლებაში არიან, ირწმუნებოდნენ და ირწმუნებიან, რომ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, სააკაშვილმა საკუთარი მომავალი უზრუნველჰყო, კერძოდ, გაჩნდა მოსაზრება, რომ სააკაშვილი აპირებდა, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის მეორე ვადას ამოწურავდა, პრემიერად მოგვვლინებოდა, რათა ხელისუფლებაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დარჩენილიყო. შესაძლოა, 2010 წლის რეფორმის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ მიშა ბჭობდა, ის „ბრძენი კაცი“ კი იცინოდა. ჰოდა, მოხდა ის, რაც მოხდა – სააკაშვილი საქართველოდან არათუ წავიდა, არამედ, მასზე შიდა ძებნა გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ როგორც კი საქართველოს საზღვარს გადმოკვეთდა, დააკავებდნენ და პრემიერის კაბინეტში კი არა, „მატროსოვზე“ მიაბრძანებდნენ!

ასეა თუ ისე, სააკაშვილმა, მავრისა არ იყოს, თავისი საქმე გააკეთა და, მიუხედავად იმისა, რომ წავიდა, კონფრონტაციის მარცვალი ჩააგდო, რომელიც „ოცნებისა“ და მის მიერვე გაპრეზიდენტებული გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური მუშტი-კრივის საბაბი გახდა...

„აქციის მონაწილეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომლებს, აგინებდნენ, საშინელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მათ, მათ ოჯახებს, შვილებს“

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა დეპუტატების მიერ, ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებს უპასუხა.
ვახტანგ გომელაურმა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე, ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე დეტალურად ისაუბრა.
შინაგან საქმეთა მინისტრმა, საპარლამენტო ორგანოში სიტყვით გამოსვლა, ბოლო დღეების განმავლობაში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებზე საუბრით დაიწყო.

ვახტანგ გომელაური ინტერპელაციის წესით პარლამენტში იმყოფებოდა

როგორც ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რუსთაველის გამზირზე ძალადობრივი ქმედებების შედეგად, დაშავდა ხუთი პოლიციელი, აქედან ორი – მძიმე დაზიანებებით – სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. სამართალდამცველებმა ადმინისტრაციული წესით, საერთო ჯამში, 40 პირი დააკავეს.

„მიმდინარე კვირის განმავლობაში ყველამ ვნახე სამართალდამცველები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში იყვნენ მობილიზებულები, სხვადასხვა დროსა და ადგილზე გამართულ საპროტესტო აქციებზე და იცავდნენ თითოეული ადამიანის უსაფრთხოებას. 15 და 16 აპრილს, აქციის პარალელურად, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი. ჩვენთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, თანაბრად მნიშვნელოვანი იყო, როგორც პარლამენტის დეპუტატებისა და აპარატის წევრების, ისე, აქციის თითოეული მონაწილის უსაფრთხოების დაცვა. საზოგადოებამ ისიც ნახა, თუ როგორ გადაიზარდა მშვიდობიანი აქცია პირველივე დღიდან ძალადობრივ ქმედებებში. მაშინ, როდესაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა სრულიად მშვიდ ვითარებაში, მონაწილეების გარკვეული ნაწილი გახდა აგრესიული სამართალდამცველების მიმართ, პოლიციელების მიმართულებით ისროდნენ სხვადასხვა საგნებს, მათ შორის, ქვებს, ბოთლებს, ასხამდნენ საღებავებს, აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ემორჩილებოდნენ პოლიციელების კანონიერ მოთხოვნებს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, პოლიციელზე თავდასხმა ნიშნავს სახელმწიფო ინსტიტუტზე თავდასხმას და ეს არის დაუშვებელი.

„16 აპრილს, გვიან ღამით, მაშინაც, როცა უკვე სრულდებოდა აქცია, მონაწილეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომლებს. აგინებდნენ, საშინელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მათ, მათ ოჯახებს, შვილებს და აღარ გავაგრძელებ. ამის შემდეგ, მომხდარი დაპირისპირება მოქალაქეებსა და პოლიციელებს შორის არავისთვის და არც ჩემთვის იყო კარგი სანახავი, დამერწმუნეთ“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, პოლიციელებმა ძალიან ბევრი შეურაცხყოფა მოითმინეს.

მისივე თქმით, ყველა პოლიციელს აქვს თმენის ვალდებულება და ამას თითოეული მათგანი ძალიან კარგად აცნობიერებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს აქვს უფლება, მათ სიტყვიერი, ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს.

როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, უმკაცრესად დაისჯება ყველა ადამიანი, ვინც პოლიციელების ღირსებას შელახავს და მიაყენებს მათ შეურაცხყოფას.

* * *

შინაგან საქმეთა მინისტრმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ პოლიციის მიმართ ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, ძალადობის ფაქტებზე გაზრდილია მომართვიანობის რაოდენობა.

მისი თქმით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი არეგულირებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცედურებს. 2021 წელს, კანონში შევიდა ცვლილება და პრევენციულ ღონისძიებებზე განმახორციელებელი უწყებების ჩამონათვალი განისაზღვრა, რომელთა შორის, უდიდესი როლი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ სამსახურის გაძლიერების მიზნით, იგეგმება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის რეფორმა, რის ფარგლებშიც, სამსახური შეუერთდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს. როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო და პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების წინააღმდეგ უმკაცრეს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებენ, რაც დასტურდება სტატისტიკური მაჩვენებლებითაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკაში, ოჯახში ძალადობის მიმართულებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი მეორე ადგილს სტაბილურად ინარჩუნებს.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, პარტნიორ უწყებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გეგმავს და ერთვება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიასა თუ აქტივობაში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა სამინისტროს მიერ ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ინტენსიურ ბრძოლას. იგი მთავრობის მიერ აღიარებულია ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო მიმართულებად.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, უკვე დაიწყო განახლებული, 2025-2028 წლების სტრატეგიისა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმის ერთობლივად შემუშავების პროცესიც, რომელშიც, რა თქმა უნდა, ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ზრდის პარალელურად, კიდევ უფრო მეტად გამახვილდება ყურადღება მისი პრევენციის კომპონენტზე. გაგრძელდება აქტიური მუშაობა სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა ამაღლდეს ახალგაზრდების ცნობიერება ნარკოტიკების მავნე შედეგებთან დაკავშირებით და მკვეთრად შემცირდეს მათი ნარკოტიკულ დანაშაულებში ჩაბმის ალბათობა.

ხუთი ბინა თბილისში, საკუთრებაში არსებული 13 კომპანია და მშობლების სოლიდური ფულადი საჩუქარი

ნინო წილოსანის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

„მამიკოს გოგო“, „ლამაზი თოჯინა“ – ეს იმ თიკუნების არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც ოპონენტები „ქართული ოცნების“ დეპუტატს და ახლა უკვე „ქალთა ორგანიზაციის“ თავმჯდომარეს, ნინო წილოსანს ამკობენ. ნინო წილოსანი საკმაოდ ხისტი, მკვეთრი პოზიციით გამოირჩევა და არც ოპონენტებთან პოლემიკას გაურბის, რის გამოც ოპონენტები დაუფარავად აქილიკებენ. წლების წინ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ნინო წილოსანის ქონება, დაახლოებით, 2 მილიონ აშშ დოლარად შეფასდა და მილიონერ დეპუტატთა პირველ ხუთეულში დასახელდა. „ვერსია“ გთავაზობთ ნინო წილოსანის ქონების განხილვას, მის მიერვე შევსებული დეკლარაციის მიხედვით. თუმცა, მანამდე, დეპუტატის ბიოგრაფიას გადავავლოთ თვალი.

ნინო წილოსანის ბიოგრაფია

ნინო წილოსანი 1982 წლის 19 თებერვალს, თბილისში დაიბადა. 2002 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი; 2007 წელს, გაიარა აუდიტის სასწავლო კურსი (Association of Chartered Cerified Accountants); 2015 წელს, ოქსფორდის უნივერსიტეტში შეისწავლა პოლიტიკის საწყისები.

2003-2007 წლებში – მუშაობდა ს/ს ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად; 2008-2011 წლებში – „ვაგონმშენებელი კომპანიის„ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად; 2008-2016 წლებში – შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ; 2012-2016 წლებში – ვაგონმშენებელი კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსად.

2016-2020 წლებში, ნინო წილოსანი საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარული სიით; 2020 წლიდან კი – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პარტიული სიით.

რა ქონებას ფლობს დეპუტატი

სულ ბოლო ქონებრივი დეკლარაცია ნინო წილოსანმა 2024 წლის 31 იანვარს შეავსო. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ჰყავს სამი შვილი: თემურ, ნიკოლოზ და მარიამ აბულაძეები.

დეპუტატის საკუთრებაში ორი, ძივრადღირებული არასაცხოვრებელი ფართი თბილისში და ერთი მიწის ნაკვეთი დაბა ურეკში, ასევე 224.7 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, რომელიც 2014 წელს, 250 000 ლარად შეუძენია.

დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ ნინო წილოსანს აქვს დანაზოგი, როგორც დოლარში, ასევ ლარში – 183 000 აშშ დოლარი და 130 000 ლარი.

ნინო წილოსანის საკუთრებაშია 13 კომპანია. მათგან მხოლოდ ორისგან მიუღია წლიური შემოსავალი – 43 734 ლარის და 62 700 ლარის ოდენობით, დანარჩენი ქონება იჯარით ჰქონია გაცემული და შესაბამისად, შემოსავალსაც იღებს.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ნინო წილოსანის, როგორც საქართველოს პარლამენტის დეპუტატის წლიური შემოსავალია 53 449 ლარი. აქვე, იმასაც ვიგებთ, რომ „საქართველოს ბანკში“ აქვს იპოთეკური სესხი 180 000 აშშ დოლარის ოდენობით და მის საკუთრებაში არსებული ყველა კომპანია გაცემული აქვს იჯარით, მათგან მხოლოდ ოთხი კომპანიის შემთხვევაში იღებს წლიურ შემოსავალს – 5 500 ლარის, 37 727 ლარის, 63 176 ლარის და 222 046 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ავტომობილს, დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ 50 000 ლარად შეძენილი „ტოიოტა“, 2023 წელს, ნინო წილოსანს 26 200 აშშ დოლარად გაუსხვისებია.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მშობლებისგან საჩუქრის სახით, დეპუტატს 83 000 აშშ დოლარი მიუღია.

რაც შეეხება შვილების სწავლის საფასურს, დეკლარაციიდან ირკვევა, რომ უფროსი შვილი, თემურ აბულაძე დიდ ბრიტანეთში სწავლობს. შესაბამისად, მისი საცხოვრებელი ფართისა და სწავლის საფასურის სახით, ნინო წილოსანს 20 588 ბრიტანული ფუნტი გადაუხდია, მარიამ აბულაძის სწავლის საფასური – 15 968 ლარი, ხოლო ნიკოლოზ აბულაძის სწავლის საფასური – 22 241 აშშ დოლარია.

რამდენად უსაფრთხოა სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამჯერად სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტების უვნებლობით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2020-2021-2022 წლებს მოიცავს. სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტები მრავალფეროვანია და მერყეობს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთებიდან – მსხვილ მანქანა-დანადგარებამდე. ბაზრის ეფექტიანი ზედამხედველობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოს ბაზარზე არსებული პროდუქტები იყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაუახლოოს კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. აღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა საზედამხედველო პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტები.

პროდუქტების ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაექვემდებარა სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს“ ზედამხედველობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სისტემურ დონეზე შეაფასა სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა. აღსანიშნავია, რომ სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ“ – მისი შექმნიდან დღემდე – განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივ ბაზარზე ზედამხედველობის მიმართულების ინსტიტუციურ გაძლიერებას. ამის მიუხედავად, აუდიტის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული დარღვევები, რომელთა გაუმჯობესების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც.

სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის არარსებობა

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ გრძელვადიანი სტრატეგიული და წლიური გეგმების არარსებობის გამო, არ არის განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნები და მკაფიო საოპერაციო ჩარჩო, რასთან მიმართებითაც სააგენტო შეძლებდა ეფექტიანი დეტალური სამოქმედო გეგმების შედგენას და განხორციელებას. გარდა ამისა, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვის არარსებობის გამო, რთულდება იმ გამოწვევების მართვა, რომლებიც სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში ყალიბდება.

„სააგენტოს 2020, 2021 და 2022 წლების პროგრამულ ბიუჯეტებში მითითებული აქვს საქმიანობის საბოლოო შეფასების ინდიკატორები, თუმცა ზოგადი ხასიათის გამო, ეს არ წარმოადგენს საზედამხედველო საქმიანობის შედეგების შეფასების გაზომვად ინდიკატორებს. საქმიანობის შეფასების კონკრეტული ინდიკატორების გარეშე, სააგენტო ვერ უზრუნველჰყოფს განხორციელებული საქმიანობის ობიექტურ შეფასებას და საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვას, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიმართ ანგარიშვალდებულების შემცირება, ასევე სამომავლო აქტივობებზე რესურსების არაეფექტიანი განაწილება და პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაცია ასეთია – სააგენტომ, ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განისაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის პოლიტიკა და პრიორიტეტები, ორგანიზაციული განვითარების ხედვა და მიდგომები, გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და რესურსების განაწილების კომპონენტები, ცვალებადი გარემო, მათ შორის, ონლაინ-ბაზრის ზედამხედველობის საკითხები, მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირება.

„სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ობიექტური შეფასების, მისი ეფექტიანობის გაზომვის, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და სამომავლო აქტივობებზე რესურსების ეფექტიანი განაწილების მიზნით, სააგენტომ, საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, უნდა შეიმუშაოს საქმიანობის ობიექტური შეფასების ინდიკატორები, რითაც შესაძლებელი იქნება სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროგრესის მონიტორინგი და შეფასება“.

მონაცემთა შეგროვება-დამუშავების მეთოდოლოგიის არარსებობა

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, თავისი საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებლად, სააგენტო ხელმძღვანელობს კოდექსითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუმცა არ გააჩნია რამე სახის ინსტრუქცია, ან მეთოდოლოგია ბაზარზე ზედამხედველობის დასაგეგმად და განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის კატეგორიების, მათი შეგროვების, დამუშავების და გამოყენების შესახებ.

„კონკრეტული ინსტრუქციის არარსებობის, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცესის არასათანადო დოკუმენტირების გამო, შესაძლოა, სააგენტოს თანამშრომლებმა გამოიყენონ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და დოკუმენტირების განსხვავებული მიდგომები, რაც ხელს უშლის ინსტიტუციური ცოდნის დაგროვებას და შეგროვებულ მონაცემთა ეფექტიან გამოყენებას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სააგენტო თანამშრომლობს ყველა სათანადო უწყებასთან, თუმცა მათ საზედამხედველო არეალში შემავალი პროდუქტებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებების შესახებ მონაცემების სტატისტიკას არცერთი უწყება არ აწარმოებს.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპვა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სააგენტო თანამშრომლობს ჯანდაცვის სექტორთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სსიპ „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან“ და სხვა შესაბამის უწყებებთან, ქვეყანაში მსგავსი მონაცემების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის დაწყების მიზნით. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები, შესაძლოა, გამხდარიყო ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი – რეალიზაციის შეჩერება, ამოღება, გამოთხოვა, განადგურება“.

გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ სააგენტოს დღემდე არ აქვს რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების თანამედროვე სისტემა და ამ მიმართულებით, DCFTA-ით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროგრესი არ შეინიშნება. ეს კი, აუდიტორების მტკიცებით, ამცირებს საქართველოში სარისკო პროდუქტების იდენტიფიცირების გზით ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობას და სააგენტოს შეზღუდული რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას.

„ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის განსაზღვრის, მათი შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და დოკუმენტირების ერთგვაროვანი და გამართული პროცედურების უზრუნველსაყოფად, სააგენტომ უნდა შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე ზედამხედველობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, საზედამხედველო პროდუქტების საქართველოს ბაზარზე წილის, მისგან გამოწვეული დაზიანებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ შეგროვების, დამუშავების, დოკუმენტირებისა და გამოყენების პროცედურებს“, – ასეთია სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაცია.

შემოწმებების დაგეგმვის ნაკლოვანებები

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ სააგენტოს კვარტალური გეგმები არ ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული ყველა პრო-

დასასრული მე-8 გვერდზე

რამდენად უსაფრთხოა სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტები

მე-7 გვერდიდან

დუქტის კატეგორიის შემოწმებას. იმავდროულად, სააგენტოში არ არსებობს შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები შესამოწმებლად შერჩეული პროდუქტებისა და ეკონომიკური ოპერატორების შემოწმების პრიორიტეტულობაში დასარწმუნებლად.

„სააგენტოს კვარტალური გეგმები არ მოიცავს ბაზარზე ზედამხედველობის დეტალური დაგეგმვისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რის გამოც აღნიშნული გეგმები არსებული სახით არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან სახელმძღვანელო დოკუმენტად, ერთი მხრივ, შემოწმებების უშუალოდ განმახორციელებელი პერსონალისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მენეჯმენტისათვის“.

გარდა ამისა, სააგენტოს არ გააჩნია ბაზარზე ცალკეული საზედამხედველო პროდუქტის წილის შესახებ, მათგან გამოწვეული დაზიანებების შესახებ და/ან სხვა არგუმენტების არსებობის შესახებ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა მიღებულიყო ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება კონკრეტული ტიპის პროდუქტის კვარტალური შემოწმებების გეგმებში შეტანის ან გეგმის მიღმა დატოვების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, შერჩევის მეთოდის არარსებობის გამო, ვერ დგინდება, რის საფუძველზე განსაზღვრავს სააგენტო შესამოწმებელი პროდუქტის რაოდენობებს და ეკონომიკურ ოპერატორებს.

სააგენტოს მიერ საზედამხედველო ბაზრის მოცვის ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სააგენტოს ტექნიკური შემოწმებები ჩატარებული აქვს მხოლოდ პროდუქტის რეალიზაციის ადგილებიდან და საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებიდან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული შემოწმებების/პროდუქტის გამოცდის გზით. რაც შეეხება რეალიზაციის ადგილებში პროდუქტის ნიმუშის არალაბორატორიულ ტექნიკურ შემოწმებას, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს გააჩნია შესაბამისი მანდატი, აუდიტის პერიოდში, სააგენტოს ამ სახის ზედამხედველობა არ განუხორციელებია.

მეტიც, სააგენტოს არასდროს ჩაუტარებია საქართველოს ბაზარზე განთავსებული შემდეგი საზედამხედველო პროდუქტების ტექნიკურ-ლაბორატორიული შემოწმება:

- თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები;
- წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები;
- წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები;
- შეცდომაში შემყვანი პროდუქტები;
- ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელები;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები;
- მანქანა-დანადგარები;
- პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და დამცავი სისტემები.

ამასთან, სააგენტო სრულად არ ფლობს ინფორმაციას მის მანდატში შემავალი თითოეული საზედამხედველო პროდუქტის ლაბორატორიული მომსახურებების შესაძლო მიმწოდებლებისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

„სააგენტო არ გეგმავს ყველა საზედამხედველო პროდუქტის რეგულარულ ლაბორატორიულ შემოწმებებს და არ აწარმოებს აქტიურ საინფორმაციო კამპანიას მომავალში ამ ტიპის შემოწმებების გააქტიურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ლაბორატორიული მომსახურებების პოტენციური მიმწოდებლები არ არიან ინფორმირებულები საქართველოში აკრედიტებული ლაბორატორიების შესაბამისი ტიპის მომსახურებებზე მოთხოვნის არსებობაზე და მისგან გამომდინარე სარგებელზე. ეს განაპირობებს საქართველოში შესაბამისი ლაბორატორიული მომსახურებების განვითარებისა და მიწოდების მიმართ პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან ინტერესის ნაკლებობას“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ტექნიკური შემოწმებების არალაბორატორიული ფორმების განუვითარებლობის გამო, საზედამხედველო პროდუქტი უშუალოდ სააგენტოს მიერ ტექნიკურად არ მოწმდება.

იმპორტის წინასწარი შეტყობინებების შემოწმების ნაკლოვანებები

იმპორტის წინასწარი შეტყობინებების პრაქტიკასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ევროკომისიის მიერ, 2023 წლის 1 თებერვალს გამოქვეყნებული სამუშაო დოკუმენტი, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოს იმპორტის წინასწარი შეტყობინების სისტემა არ შეესაბამება ევრორეგულაციებს.

„2021-2022 წლებში, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სარისკოდ მიჩნეული იმპორტის წინასწარი შეტყობინებები სისტემამ ავტომატურად დაადასტურა სამი სამუშაო დღის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში ინტეგრირებულ რისკის პროფილთან თანხვედრილი პროდუქტი, 17 შემთხვევაში, საქართველოს ბაზარზე დაიშვა სააგენტოს შემოწმების გარეშე. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ავტომატური დადასტურებების პროცენტული წილი მთლიან შეტყობინებათა რაოდენობაში მაღალი არ არის, რჩება რისკი, რომ ერთჯერადად, დიდი რაოდენობის შეუსაბამო პროდუქტი შემოვა საქართველოს ბაზარზე“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სააგენტოში არსებული კონტროლის მექანიზმები არასათანადოა იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სარისკო პროდუქტის შესახებ თითოეული იმპორტის წინასწარი შეტყობინების შემოწმება და დროული გადაწყვეტილების მიღება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციის მიხედვით, ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის დადგენილი ჯარიმისა და შემზღუდველი ღონისძიებების აღსრულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ უნდა მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი და წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა განისაზღვროს სამართალდარღვევის შემაკავებელი ეფექტის მქონე ჯარიმების დიაპაზონი.

„იმავდროულად, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ჯარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისთვის, დადგინდეს ისეთი გასათვალისწინებელი კრიტერიუმები, როგორებიცაა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შინაარსი, ჯარიმის ოდენობის თანაფარდობა შეუსაბამო საზედამხედველო პროდუქციის ჯამურ ღირებულებასთან, საზოგადოების დაინტერესება და სხვა. გარდა ამისა, დაჯარიმებასთან ერთად, კანონმდებლობით განისაზღვროს იმ მოვალეობის შესრულების დაკისრება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ხდება ჯარიმის შეფარდება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – ჯარიმების გაზრდილი ოდენობა“.

სამართალი

№10 24 აპრილი 2024 წ

როგორ აშანტაჟებდა ბიოლოგიური დედა შვილის გამზრდელს

90-იან წლებში დაწყებული ისტორია ინდური ფილმის ფინალით

ბათო ჯაფარიძე

90-იანმა წლებმა საქართველოს ბევრი მოუშუშებელი იარა დაუტოვა. ომი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ძმათამკვლელი ომი თბილისში, ბანდების, შეიარაღებული ფორმირებებისა თუ საძმოების თარეში... ამას გარდა, არცთუ იშვიათი იყო გაუპატიურების შემთხვევები. ღამით, ქუჩაში მარტო გასვლა სახიფათო გახლდათ. შეიარაღებული ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირები გოგონებს პირდაპირ ქუჩიდან იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ და მერე, ღამის გაქანებული მანქანებიდან ყრიდნენ. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა და არაერთი მათგანი დაორსულდა კიდეც. ვიღაცამ აბორტი გაიკეთა, ვიღაცამ შვილი გააჩინა, ვიღაცამ...

რუსთავის ერთ-ერთ კორპუსში, ქალმა მეზობლის ღია კარი შენიშნა, შევიდა და მეზობელი სამზარეულოს იატაკზე თაგახეთქილი ნახა. მაშინვე სასწრაფო გამოიძახა, მერე პოლიციაშიც დარეკა და შეეცადა, პირველადი დახმარება თავად აღმოეჩინა, თუმცა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ჭრილობაზე მარლა დაადო, მეტი ვერ გაბედა, ეგებ, განძრევა არ შეიძლებაო. ექიმები მალე მივიდნენ, პოლიციასაც კი დაასწრეს და ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეზობელმა ძალოვნებს ბევრი ვერაფერი უთხრა, არც ხმაური გამიგონია, არც სხვა რამ, უბრალოდ, დილით კარზე ზარის ხმა იყო, საჭვრეტში გავიხედე და დავინახე, ვიღაც ქალი იდგა კართან, აღარ დავინტერესებულვარ, რადგან ჩემი მეზობელი მარტოხელაა, კაცი რომ ყოფილიყო, ეგებ, კარგად შემეთვალიერებინა, მაგრამ ქალმა ინტერესი დამიკარგაო. მერე... მერე, გარეთ ნაგვის გადასაყრელად გავიდა, კარი შეღებული დახვდა, მეზობელს დაუძახა, რომ არ გააგონა, შევიდა და ეს სურათი დახვდა. ერთადერთი მოწმე ამბობდა, გამიჭირდება, მაგრამ ძალიან დიდია იმის შანსი, რომ სტუმარი ქალი ვიცნოო.

ამასობაში, სამართალდამცავებს საავადმყოფოს ექიმი დაუკავშირდა და მათთან საუბარი ისურვა.

„ეს ქალი კარგად მახსოვს. ასე, 14-15 წლის წინ, აქ სამშობიაროდ შემოიყვანეს, მე ქირურგი ვარ და იმის გამო, რომ შუქი არ იყო და საკეისრო კვეთა უნდა ჩატარებულიყო, მე დამიძახეს. ქალს ჭიპთან სპეციფიური ლაქა ჰქონდა, დიდი ხალივით, ტყლიპს რომ ვეძახით. ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა, ისეთი საყვარელი ბიჭი იყო, რომ... მაგრამ, როცა ქალმა სიარული შეძლო, ბიჭი დატოვა და წავიდა. მაშინ, მისი არც საბუთები გვქონდა, არც არაფერი, კი გახსოვთ, რა დრო იყო და ბიჭი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩავაბარეთ. ახლა კი, როცა ეს ქალი გააშიშვლეს იმის სანახავად, ჭრილობები სხვაგანაც ხომ არ ჰქონდა, მაშინვე ვიცანი იმ სპეციფიური ლაქით და ჩემ მიერ ჩატარებული საკეისრო კვეთის იარით. მოკლედ, ეს ქალია, ბავშვი რომ დატოვა და ეგებ, ძიებაში წაგადგეთ“, – განაცხადა ექიმმა.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ექიმი კონკრეტულ წელს კი იხსენებდა, როცა ქალმა იმშობიარა, მაგრამ თვე არ ახსოვდა და რაც მთავარია, იმდროინდელი არქივების მოძიებაც სერიოზული პრობლემა გახლდათ. არადა, იმ პერიოდში, ბავშვი ბევრმა დატოვა და სახელის და გვარის, ან თვის გარეშე ძიება წარმოუდგენელი იყო. ქალი აზრზე მეორე დღეს მოვიდა და აშკარად არ ესიამოვნა, როცა ოთახში სამართალდამცავები დაინახა. მეტიც, თავიდან ჩვენებაზე უარის თქმა დააპირა, ცუდად ვარო, მაგრამ ექიმმა უთხრა, საუბარი შეგიძლია და ჩვენების მიცემაც პრობლემა არ არისო. ქალი მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და საუბარი დაიწყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ყველაფერს მალავდა.

„სავარაუდოდ, სახლის კარი დამრჩა ღია, სამზარეულოში ვიყავი, როცა ნაბიჯების ხმა გავიგე, მოტრიალება ვერ მოვასწარი, თავში რაღაც მომხვდა და მერე აზრზე აქ მოვედი. ალბათ, ბინის გასაქურდად იყვნენ მოსულები და იმის ნაცვლად, რომ მათ ეძებდეთ, მე მომიწყვეთ დაკითხვა“, – განაცხადა ქალმა.

როცა სამართალდამცავებმა უთხრეს, რომ ექვი ქალზე ჰქონდათ, მან მხრები აიჩეჩა, აბა, მე რა ვიცი, ქალი იყო თუ კაცი, დანახვა ვერ მოვასწარი და ალბათ, მთელი სახლი გადატრიალებულია, ერთადერთი ოქროს საყურე მქონდა და იმასაც მომპარავდნენო. როცა ძალოვნებმა აუხსნეს, სახლიდან არაფერი წაუღიათო, თითქოს გაოცდა და გაუკვირდა, მაგრამ ყველაფერი ეს აშკარად ყალბი იყო ანუ მან ზუსტად იცოდა, ვინ იყო თავდამსხმელი, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, არ ამბობდა. გამომძიებლებმა სამშობიაროში დატოვებული ბავშვის შესახებ ჰკითხეს და მან ხელი აიქნია, ისეთი დრო იყო, ბავშვი კი არა, თავის მოკვლა ვცადე რამდენჯერმე და არ გამომივიდაო.

სამართალდამცავები მიხვდნენ, მისგან ბევრს ვერაფერს გაიგებდნენ და ისევ ბავშვის ძიება დაიწყეს.

იმ პერიოდში, ბავშვთა სახლში აღნიშნული სამშობიაროდან ექვსი ჩვილი შევიდა, აქედან ოთხი გოგონა იყო, ორი ბიჭი, რაც მოკვლევას უფრო ამარტივებდა. დაზარალებულის მიერ დატოვებული ბავშვი ბიჭი იყო და ორში ერთი უნდა ეძებნათ. ორივეს მალე მიაგნეს, ორივე რუსთავში იყო გაშვილებული. ერთს დედ-მამა ჰყავდა, მეორეს – მხოლოდ დედა, მამა მაშინ გარდაეცვალა, როცა შვიდი წლის იყო. 15 წლის ბიჭები უზრუნველად იზრდებოდნენ, მართალია, დედა-შვილს ცოტა უჭირდა, მაგრამ მეზობლები ამბობდნენ, ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდით, საოცარი სიყვარული აქვთ და ეს ბიჭი, სწორედ დედის წყალობით, კარგი ვაჟკაცი დადგებაო. დაიწყო ორივე ბავშვის მშობლების შესწავლა და ძიება მარტოხელა დედაზე მალე გადაერთო. მან მომხდარიდან ორი კვირით ადრე, ბანკში 3-ათას ლარიანი სესხი აიღო, თუმცა მეზობლები ამბობდნენ, ღირებული არაფერი შეუძენია, ბიჭიც საჯარო სკოლაში დადის და ფული რისთვის დასჭირდა, ვერ გეტყვითო. ქალის სურათი მეზობელს აჩვენეს და იმან მხები აიჩეჩა, პროფილში დავინახე, აი, პროფილის სურათს თუ მომიტანთ, ვიცნობო და როცა მიუტანეს, დაბეჯითებით თქვა, დიახ, სწორედ ეს ქალი იყო იმ დღეს, ჩემს მეზობელთან სტუმრადო. მისი დაკითხვის დრო კი დადგა, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, ქალის სურათი დაზარალებულსაც ანახეს, აინტერესებდათ, რა რეაქცია ექნებოდა. ქალმა სურათს როგორც კი დახედა, სახე შეეცვალა, მაგრამ შემდეგ თავი მოთოკა და მშვიდად თქვა – პირველად ვხედავო. გამომძიებლები მიხვდნენ, რომ სწორ კვალზე იდგნენ და ეჭვმიტანილს დასაკითხად შინ მაშინ ეწვივნენ, როცა შვილი სახლში არ იყო. სამართალდამცავების დანახვამ ქალი აშკარად დააფრთხო, თუმცა მერე ოთახში შეუძღვა, თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

„არ მინდოდა, მართლა არ მინდოდა... ეს ქალი ერთი თვის წინ გამომეცხადა და მითხრა, ჩემს შვილს ზრდიო. საიდან გაიგო, რომ ჩვენ ვიშვილეთ, ვერ გეტყვით, მაგრამ ზუსტად იცოდა. მეტიც, მითხრა, მუცელზე სპეციფიური ლაქა მაქვს და მაგასაც უნდა ჰქონდესო და ხომ ვიცოდი, რომ ჰქონდა, უარყოფას რა აზრი ჰქონდა. მერე მომიყვა, ახალგაზრდობაში მამამისი „პრისტუპნიკობდა“, იარაღით დარბოდა, გამაუპატიურა და გავაჩინეო. ახლა ის კაცი ბიზნესმენია,უზარმაზარი ფული აქვს და ეს მაშანტაჟებდა, თავისი შვილები არ ჰყავს, ორ გერს ზრდის და თუ გაიგებს, რომ ბიჭი ჰყავს, წაგართმევს, უშვილოდ დარჩებიო. 5 ათასი ლარი მომთხოვა სიჩუმის სანაცვლოდ. 3 ათასი ლარის სესხი ავიღე, მეტი არ მომცეს, ათასი ლარის ოქრო გავყიდე, დანარჩენი თანამშრომლებში ვისესხე. მერე ისევ მომადგა, ფული კიდევ მჭირდება, კიდევ 5 ათასი მომიტანე და თუ არ გაქვს, ბინა გაყიდეო. მივხვდი, ეს არასდროს დასრულდებოდა და შინ მივადექი. ვემუდარე, როგორც დედა დედას, იმან კიდევ, შენი შვილი სულ ფეხებზე მკიდია, ფული მჭირდებაო. გესმით? საკუთარ შვილზე თქვა, ფეხებზე მკიდიაო და მაშინ ვერ მოვითმინე, მაგიდაზე რაღაც შუშის ჭურჭელს ხელი წამოვავლე და თავში ჩავარტყი. მეგონა, მოკვდა, კარი ღია შეგნებულად დავტოვე, ვინმეს რომ შეემჩნია და შესულიყო. ის კაცი მართლა ძალიან მდიდარია, გავიკითხე, არ ვიცოდი, უდიდესი გავლენა აქვს, მაგრამ ახლა სიმსივნეს ებრძვის, დღე-დღეზე შეიძლება მოკვდეს და არ მინდა, მომაკვდავმა შვილი წამართვას“, – მოთქვამდა ქალი.

ისტორიას ინდური ფილმივით გაგრძელება ჰქონდა. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილს სასამართლოზე ერთწლიანი პირობითი შეუფარდეს, თუმცა ამბავი გახმაურდა და „მდიდარი მამიკო“ შვილით დაინტერესდა, დნმ-ის ანალიზი საზღვარგარეთ ჩაატარებინა და როცა დადებითი პასუხი მიიღო, შვილს შემდეგ გამოეცხადა და აუხსნა, რომ მისი არსებობის შესახებ მართლა არაფერი იცოდა. სიკვდილამდე ერთი თვით ადრე, კაცმა ნამდვილ შვილს, ქონების ნახევარი ოფიციალურად გადაუფორმა, მეორე ნახევარი კი გერებს დაუტოვა.

ძალიან ჩახლართული კრიმინალური ამბავი

ვინ და რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ დაუნის სინდრომის მქონე სტუდენტი ბიჭი

ბათო ჯაფარიძე

არიან ადამიანები, რომლებზეც ამბობენ, რომ ფეთქებადი ხასიათი აქვთ და სწორედ ასეთი ხასიათის გამო, არაერთი პრობლემა ექმნებათ, ან პირიქით – სხვას უქმნიან არაფრისგან პრობლემას. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ასეთი „გმირი“ ჰყავს, მაგრამ როცა გამოძიება დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ასეთი ფინალი ექნებოდა, რადგან ძიება სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა და რომ არა ვიღაცების „მონდომება“, სამართალდამცავები სიმართლეს, ალბათ, ვერასდროს გაიგებდნენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დილით, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იმ ადამიანებმა ნახეს, რომლებიც ვარჯიშობდნენ. მათ მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და ექიმებს სამართალდამცავებიც მოჰყვნენ. ბიჭს თავი ბლაგვი საგნით ჰქონდა გატეხილი და ბევრი სისხლი დაეკარგა. ექიმებმა ის მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს და წასვლამდე ძალოვნებს დაუბარეს, დანაშაული აქ არ მომხდარა, სისხლი ბევრად მეტი უნდა იყოს, ის სხვაგან გათიშეს და აქ, უბრალოდ, დააგდესო. ეს ძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო. სანამ წაიყვანდნენ, მისი ჯიბეების გაჩხრეკაც მოხერხდა და ჯიბეში სტუდბილეთი იპოვეს. ბიჭი ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, სასწავლებლიდან მისამართი გაიგეს და ბინაზე მივიდნენ.

„ღმერთო ჩემო, გული მიგრძნობდა, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა. იმ გოგომ დაღუპა ჩემი შვილი... მითხარით, რომ არ მატყუებთ, მითხარით, რომ ცოცხალია“, -მოთქვამდა სტუდენტის დედა და იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცავები უმტკიცებდნენ, ბიჭი ცოცხალიაო, რეალურად, თავადაც არ იცოდნენ, მიიყვანა თუ არა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში დაზარალებული ცოცხალი.

„ბიჭი რომ გამიჩნდა, მამამისმა ფეხი დაჰკრა და გაიქცა, რადგან ბავშვს დაუნის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, თუმცა მსუბუქ ფორმებში. მამამისს არ სჯეროდა, რომ ბიჭი გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემი შვილი სრულფასოვანი მოქალაქე გაზრდილიყო. დაუნის სინდრომის მატარებლებს არცთუ იშვიათად, კონკრეტული მიმართულებით ნიჭი აქვთ და ჩემსას ფიზიკის ნიჭი აღმოაჩნდა. იკითხეთ, საუკეთესო სტუდენტია, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ძალიან დიდს. ინსტიტუტის პროფესორი შინ იბარებს ხოლმე და ყოველგვარი გადასახადის გარეშე, დამატებით ამეცადინებს, მერე მე მეუბნება, მისგანაც ბევრ რამეს ვსწავლობო. ერთადერთი, რაც შეიძლება მინუსად ჩაითვალოს, ის არის, რომ მეგობრები არ ჰყავს, ურთიერთობა არ შეუძლია არავისთან, ძალიან გულჩათხრობილი და ჩაკეტილია. მთელი დღე თავდახრილი დადის, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევს. მიკვირს კიდეც, გვერდზე რომ არ იხედება, გზას როგორ აგნებს“, – ტირილით თქვა ქალმა და ისიც გაიხსენა, რომ მისი შვილი, იმ საღამოსაც პროფესორთან უნდა მისულიყო, დამატებითი მეცადინეობისთვის. სამართალდამცავებმა პროფესორი პირდაპირ ინსტიტუტში მოინახულეს და როცა მომხდარის შესახებ უთხრეს, მან გულზე მოიკიდა ხელი, მერე ერთი ამოიხრიალა, გენიოსი, გენიოსი კვდება, ხალხო, უშველეთო და... გულის შეტევით, ადგილზე გარდაიცვალა. მისი ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ იმ დღეს, ბიჭი მათთან სამეცადინოდ არ მისულა და ამის გამო, პროფესორს მთელი ღამე არ ეძინა, მან სტუდენტის დედასაც დაურეკა, ისიც ნერვიულობდა და პროფესორსაც მთელი ღამე არ უძინია. გამოდიოდა, რომ დაზარალებულს პროფესორის სახლისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა რაღაც, მაგრამ რა?

დედის თქმით, ბოლო ორი თვე, მისი შვილი შეიცვალა, მერე გამოტყდა, კურსელი გოგო მომწონსო, ის გოგო კი დასცინოდა და ბოლოს, თურმე, დაემუქრა, თუ ჩემს დევნას თავს არ დაანებებ, მეგობრებს ვეტყვი და გცემენო. თურმე, გოგოს არ მოსწონდა, ნიჭიერი, მაგრამ უცნაური ბიჭი მდუმარედ უკან რომ დაჰყვებოდა, სახლამდე რომ აცილებდა, მაგრამ გვერდით კი არ მიჰყვებოდა, არამედ 3-4 ნაბიჯით უკან. საჭირო იყო, გოგო დაეკითხათ.

„დაქალები დამცინოდნენ უცნაური თაყვანისმცემლის გამო და ამიტომ, მათ გასაგონად დავემუქრე, თორემ სინამდვილეში, გულის სიღრმეში, მეცოდებოდა და რაც მთავარია, მისი ყურადღება მსიამოვნებდა კიდეც. მსიამოვნებდა იმიტომ, რომ როგორი უცნაურიც იყო გარეთ, ასეთივე უცნაური იყო აუდიტორიაში და ყველას აოცებდა. ის ურთულეს რაღაცებს იმახსოვრებდა, აკეთებდა, ხაზავდა, წერდა, მოკლედ, აუდიტორიაში ნამდვილი ღმერთი იყო, გარეთ კი... ხმას ვერ ამოაღებინებდი. რამდენჯერმე, როცა მარტო ვიყავი და უკან მომყვებოდა, მასთან გასაუბრება ვცადე, კინოშიც კი დავაპატიჟებინე თავი, დამპატიჟე და წამოვალ-მეთქი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, უბრალოდ, თავს დახრიდა უფრო დაბლა და მისმენდა. გული მწყდება, რომ ასეთ დღეშია, მაგრამ დამიჯერეთ, მე არაფერ შუაში ვარ“, – ამბობდა გოგონა და გამომძიებლები ვარაუდობდნენ, რომ გულწრფელი იყო.

ამასობაში, ექიმების დასკვნა მოვიდა, სადაც ეწერა, რომ ბიჭს თავი რაღაც ბლაგვი საგნით გაუტეხეს, საგანი, სავარაუდოდ, რკინის უნდა ყოფილიყო და დაზიანებული ბოლო უნდა ჰქონოდა. მათივე თქმით, ბიჭის ტანისამოსზე იყო მანქანის ზეთისა და ბენზინის ლაქები, იყო საბურავისგან დატოვებული ლაქაც ანუ ის ადგილამდე საბარგულით მიიყვანეს. ვერსია იმის შესახებ, რომ შეიძლება, მას დაეჯახნენ, დაეცა და თავი რაღაცას დაარტყა, გამოირიცხა. ექსპერტები ამბობდნენ, დარტყმა ზემოდან ქვემოთ განხორციელდა, მაშინ ბიჭს სალტო უნდა გაეკეთებინა ჰაერში და პირდაპირ თავით დაცემულიყო, რაც გამორიცხულიაო. ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ თავდამსხმელი, ყველაზე ცოტა, 185 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო, რადგან 170 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე ბიჭისთვის, ზემოდან ქვემოთ ისე დაერტყა, რომ მახვილი კუთხე არ გაეკეთებინა ანუ დარტყმა ჰორიზონტალურად იყო განხორციელებული.

რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, ბიჭი კომაში იმყოფებოდა, მაგრამ ექიმები ირწმუნებოდნენ, თუ სასწაული არ მოხდა, აუცილებლად გამოძვრება და გადავარჩენთო. საწყალი დედა საავადმყოფოს დერეფანში ცხოვრობდა, იქ ეძინა და სახლში ვერაფრით უშვებდნენ.

ის იყო, გამოძიებას ხელი უნდა ჩაექნია, რომ ყველასთვის მოულოდნელად, განყოფილებაში 30 წლამდე ქალი მივიდა და გამოაცხადა, დამნაშავეს ნუ ეძებთ, ბიჭს დარტყმა მე მივაყენე და პასუხსაც მე ვაგებო. სამართალდამცავებისთვის ეს ძალიან მოულოდნელი იყო, ქალს ფურცელი და კალამი მისცეს და სთხოვეს, აღიარებით ჩვენებაში ყველაფერი დეტალურად აღეწერა.

„მარტოხელა ქალი ვარ და ალკოჰოლთან სერიოზული პრობლემა მაქვს. იმ დღეს დავინახე ახალგაზრდა ბიჭი, მივედი, სიგარეტი ვთხოვე, მომაწოდა და ვუთხარი, თუ ერთ ბოთლ ღვინოს მიყიდი, შენთან ერთად დავლევ-მეთქი. ღვინო იყიდა, ზღვისკენ წავედით, ღვინოს ვწრუპავდით და უკვე სანაპიროზე, ხელი მომხვია, მერე კოცნა დამიპირა, მერე მიწაზე დამაგდო და გაუპატიურება დამიწყო. გამოვექეცი, გამომეკიდა, გზად რაღაც რკინის ნაჭერი დავინახე, ავიღე და რომ მომიახლოვდა, თავში ჩავარტყი. ძალიან შემეშინდა, იქაურობას სირბილით გავეცალე და რომელიღაც სანაგვე ურნაში, ის რკინაც გადავაგდე. ახლა კი, სინდისმა შემაწუხა და მოვედი, ვაღიარებ, რაც ჩავიდინე და გთხოვთ, მკაცრად ნუ დამსჯით“, – დაახლოებით ასეთი იყო „თავდამსხმელის“ აღიარებითი ჩვენება.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. ის, რომ 165 სანტიმეტრი სიმაღლის გოგო იტყუებოდა, ცხადი იყო. დაზარალებული არც ეწეოდა და რაც მთავარია, ასე მარტივად კონტაქტში არავისთან შევიდოდა, არც ღვინოს იყიდდა და არც სასეირნოდ წავიდოდა. მით უმეტეს, ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ დაზარალებული შემთხვევის ადგილზე საბარგულით მიიყვანეს და დატოვეს, თუმცა მედალს მეორე მხარეც ჰქონდა, გოგომ აშკარად იცოდა რაღაც და ის რაღაც უნდა ეთქმევინებინათ. მას მარტივად აუხსნეს, რომ ეს მკვლელობის მცდელობა იყო, რომ აღიარებითი ჩვენება ვერ უშველიდა და ციხეში, საუკეთესო შემთხვევაში, 7 წელს გაატარებდა. რა თქმა უნდა, ეს გაბუქებული ციფრი იყო, მაგრამ გოგოს შეეშინდა.

„რა?! ციხე? მე რომ მითხრეს, პირობითს მოგცემთო? ჩემი კლასელია, იმან მთხოვა აქ მოსვლა, სანაცვლოდ დამპირდა, ნაცნობი ექიმი მყავს და ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან უფასოდ გიმკურნალებსო. ამიტომ მოვედი, თორემ არც ის ბიჭი მინახავს და არც თავში ჩამირტყამს. ამ დეტალებსაც ჩემი კლასელი მომიყვა“, -ერთ ამოსუნთქვაზე თქვა გოგომ და კლასელის მისამართიც დაწერა. ერთ საათში, გამომძიებლების წინ, კლასელი იჯდა.

„მთელი ცხოვრება ასეთი შტერი იყო და ახლაც შტერია, ელემენტარული რამ ვერ თქვა და დაიმახსოვრა. ათასჯერ ვუთხარი, პირობითს მოგცემენ ყველაზე ცუდ შემთხვევაში-მეთქი და მაინც ჩამიშვა. იმ დღეს სახლში ვბრუნდებოდი, ეს ბიჭი კი გზაზე თავდახრილი მიდიოდა. რამდენჯერმე დავუსიგნალე, არ გაიწია, გავბრაზდი, მეგონა, განგებ აკეთებდა, ამიტომ მანქანიდან გადმოვედი და ყვირილით ხელი ვკარი, შემომხედა, გაიღიმა და გზა ისევ სავალ ნაწილზე განაგრძო. გავცეცხლდი, ფეთქებადი ხასიათი მაქვს, მანქანიდან „მანტიროვკა“ გადმოვიღე და მოვუქნიე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სწორედ იმ დროს მოტრიალდა და ზურგის ნაცვლად, თავში ჩავარტყი. სისხლმა რომ იფეთქა, შემეშინდა, საბარგულში ჩავტენე და ზღვაზე დავტოვე. სულ მეგონა, რომ მომაკითახვდნენ, გავიგე, რომ გადარჩა და... მინდოდა, საქმე დახურულიყო, ჩემი კლასელი შემხვდა, მითხრა, დამეხმარე, ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან უნდა განვიკურნოო და მეც შევთავაზე, შენც დამეხმარე-მეთქი... ჰოდა, აგერ, დამეხმარა“, – თქვა დაკავებულმა, რომელსაც სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბიჭი კი გადარჩა, მაგრამ ფიზიკაში ისეთი წარმატებისთვის, გენიოსად რომ ეღიარებინათ, აღარ მიუღწევია.

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, უცხო არავისთვისაა ისეთი მეზობელი, რომელსაც არასდროს არაფერი მოსწონს, ხან ხმაური აწუხებს, ხან – სიჩუმე, ხან ფიქრობს, რომ ყველაფერი მის წინააღმდეგაა მოწყობილი თუ აწყობილი და მუდმივად ბუზღუნით დადის. ასეთ მეზობელს არც პოლიციის გამოძახება ეზარება, არც – ყველას საქმეში ჩარევა და უმცირესი მიზეზიც კი საკმარისია, რომ ყვირილი ატეხოს, თანაც ამას მორიდებულად კი არ აკეთებს, არამედ, კორპუსის ეზოში დგას და ყვირის, ბოლო ხმაზე ყვირის.

უშვილო ქმარი, მოღალატე ცოლი და ხელოსანი

კრიმინალური სასიყვარულო სამუთხედი და ღვინით გახსნილი საქმე

სწორედ ასეთი მეზობელი აყვირდა თბილისის ერთ-ერთი კორპუსის ეზოში და ლანძღავდა ყველას, ვინც მის ზემთ ცხოვრობდა. თავად ეს ახალგაზრდა კაცი, მეორე სართულის ბინადარი იყო და მის ზემოთ კიდევ 7 სართულის მაცხოვრებლებს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა. მიზეზი კი „მარტივი“ გახლდათ – მისმა მეუღლემ, ევროპიდან ჩამოტანილი თეთრი პერანგი გარეცხა, გასაშრობად გაკიდა, ვიღაცამ კი მას წითელი ღვინო გადაასხა. ყოველ შემთხვევაში, ლაქას ღვინის სუნი ასდიოდა. მას არც განყოფილებაში დარეკვა დაეზარა და უბნის რწმუნებულიც იქ იყო, რომელიც ამაოდ შლიდა ხელებს და უხერხული ღიმილით უყურებდა აივანზე გადმომდგარ მეზობლებს.

„ახლა წაიღეთ ეს პერანგი და ჩაუტარეთ ექსპერტიზა, შემდეგ, დავივლი ყველა ბინას და სადაც ასეთი ღვინო აღმოჩნდება, ზარალს ისინი ამინაზღაურებენ“, – ბოლო ხმაზე ყვიროდა კაცი და უბნის რწმუნებულმა ზუსტად იცოდა, თუ ამას არ გააკეთებდა, დაზარალებული სამინისტროში მივიდოდა. ამიტომ, ოქმი შედგა, პერანგი ნივთმტკიცებად იქნა ამოღებული და ექსპერტიზაზეც გადაიგზავნა. მთელი განყოფილება იცინოდა და უბნის რწმუნებულს მორიგ „საქმეს“ ულოცავდნენ, თუმცა ექსპერტიზის შემდეგ, აღარავის ეცინებოდა.

„პერანგზე ძვირადღირებული ღვინის ლაქებია. ეს არ არის ღვინო, რომელიც მაღაზიაში იყიდება და სავარაუდოდ, ასეთი ხარისხის ღვინოს ვერც სახლში დაამზადებდა ვინმე. ამას გარდა, ღვინოში გარეული იყო თაგვის წამალი, ის დოზა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მარტივად მოკლავდა“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

ოპერმუშაკები მაშინვე მითითებულ მისამართზე გავიდნენ და... მიხვდნენ, რომ ყველა ბინაში შესვლა ხმაურს გამოიწვევდა, ამიტომ ბუნებრივი აირის გაჟონვის მოტივით, ყველა ბინის დათვალიერება შესაბამის სპეცტანსაცმელში გამოწყობილებმა დაიწყეს. მესამე სართულზე, სამზარეულოში, ღვინის უცხოური ბოთლები დაინახეს და სახლის პატრონს მაშინვე სამართალდამცავების საბუთი უჩვენეს.

„მივლინებით ვიყავი ესპანეთში და ეს ერთი ყუთი ღვინოც იქიდან წამოვიღე. კარგი ღვინოა, მარტო ვცხოვრობ და ვწრუპავ ხოლმე, თუმცა ორი ბოთლი გავაჩუქე. ერთი ზედა მეზობელს მივეცი, ხელოსანი ბიჭია, დახმარება დამჭირდა, ორი დღე უანგაროდ იმუშავა, კაპიკი არ გამოურთმევია და მადლობის ნიშნად მივეცი, მეორე ბოთლი კი ჩემს უფროსს მივუტანე. დანარჩენები აქ არის“, – თქვა გაოცებულმა კაცმა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ დაინტერესდნენ მისი ღვინით სამართალდამცავები. ოპერებმა კაცს ჩუმად ყოფნა უბრძანეს და უთხრეს, რომ ღვინის თაობაზე დასმული კითხვების შესახებ ხმა არავისთან ამოეღო.

ახალგაზრდა ხელოსანი ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. ღვინის ცარიელი ბოთლი მაგიდაზე იდგა, თუმცა მხოლოდ ეს ერთი ბოთლი არა, იქვე იყო შედარებით იაფფასიანი ღვინისა და არყის ცარიელი ბოთლებიც. „გაზ-კანტორის“ თანამშრომლები უცხო ბოთლით დაინტერესდნენ და ხელოსანმაც მხიარულად თქვა – დაბლა მეზობელი ცხოვრობს, ამასწინათ ჩამოიტანა საიდანღაც, ერთი ბოთლი მე მაჩუქა, გადასარევი ღვინო იყოო. სტუმარმა მასპინძელს მორიდებულად სთხოვა, ეგებ, ცარიელი ბოთლი მომცე, პატარა კოლექცია მაქვს, იმათ შევმატებო და მანაც ცხელი აიქნია, წაიღე, დღეს-ხვალ მაინც უნდა გადამეგდოო.

ის იყო, დეტექტივებს გამარჯვება უნდა ეზეიმათ, მაგრამ... ბოთლში შხამის კვალი არ აღმოჩნდა. გამოდიოდა, რომ ხელოსანს ვიღაცამ საწამლავი უშუალოდ ჭიქაში ჩაუყარა, მაგრამ სავარაუდოდ, შემდეგ ინანა და სანამ დაალევინებდა, უბრალოდ, ფანჯრიდან გადაასხა, მაგრამ ვინ? მოიკითხეს სამეზობლოში და ყველა იმას ამბობდა, ბიჭი კი არა, ოქროა, ნებისმიერს ეხმარება, სამეზობლოში ფულს არ იღებს, ოქროს ხელი აქვს და არასდროს არაფერს იზარებსო. მართლაც, ვინ უნდა ჰყოლოდა მტერი ახალგაზრდა კაცს, არავინ იცოდა და ვერც სამართალდამცავები ხვდებოდნენ, თუმცა...

„ისე, კარგი ბიჭი კი არის, მაგრამ ხომ გაგიგიათ, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო... ასე მგონია, დაძვრება მეზობლის გოგოსთან და ვისთანაც დაძვრება, სწორედ იმის ქმარი ყვიროდა, პერანგი დამისვარესო. ეგებ, სპეციალურადაც გადმოასხა ის ღვინო, კაცი რომ გაებრაზებინა“, – ეს სიტყვები ძალოვნებს კორპუსის „ასინეთამ“ უთხრა და მოტივიც გაჩნდა. ხომ შეიძლებოდა, ღვინის მოწამვლა თავად დაზარალებულს განეზრახა, მერე კი, დარწმუნებულიყო, რომ ხელოსანი მის ცოლს არ ჰყვარობდა და ღვინო გადაექცია, ყველაფერი ეს კი, თვალის ასახვევად დაედგა, თუნდაც ცოლთან თავის მართლების გამო. ცოლი კი, მეცხრე თვეში იყო და დღე-დღეზე, ოჯახი პირველ ბავშვს ელოდა. ყოველი შემთხვევისთვის, დაზარალებულის დაკითხვა გადაწყვიტეს, ოღონდ ისე, მას რომ ეჭვი არაფერზე აეღო და იმასაც ფიქრობდნენ, ეგებ, რამე წამოვაცდენინოთო... წამოსცდა!

„ადრე ამ კორპუსში არ ვცხოვრობდი, სხვაგან მქონდა ბინა. მერე ცოლი მოვიყვანე და ისევ იქ გავაგრძელე ცხოვრება, მაგრამ ბავშვი არ გვიჩნდებოდა. სამი წლის შემდეგ, საცხოვრებელი შევიცვალე, მირჩიეს, ასე მითხრეს, ის ბინა, რომელშიც ცხოვრობ, დაწყევლილია, ადრე იქ ვიღაც მოუკლავთ. როგორც ჩანს, მართალია და აქ გადმოსვლიდან ექვს თვეში, ცოლი დაორსულდა. თან მინდა, კორპუსში წესრიგი იყოს, ბავშვი კარგ გარემოში რომ გაიზარდოს და დღეს თუ ღვინო გადმოასხეს, ხვალ შეიძლება, ბოთლი გადმოაგდონ“, – განაცხადა მან.

გამომძიებლებმა მისი სამედიცინო ბარათი გადააწოწმეს და გაარკვიეს, რომ მამაკაცს პრობლემა ჰქონდა და შვილის ყოლის შანსი არ გააჩნდა. მეტიც, ექიმმა თქვა, როცა ანალიზის პასუხი მოვიდა, ცოლმა გვთხოვა, ჩემს ქმარს თავად ვეტყვი, თქვენ არ უთხრათ, შევამზადებ, მისთვის ეს დიდი ტრავმა იქნებაო. გამოდიოდა, რომ ცოლმა იცოდა, ქმართან ბავშვი რომ არ ეყოლებოდა და ახლა ორსულად იყო. ვერსია იმის შესახებ, რომ ხელოსანს მასთან ურთიერთობა ჰქონდა, ძალიან რეალური იყო. გადაწყდა, ქალი დაეკითხათ, მაგრამ... ის ბავშვს ელოდებოდა და ზედმეტ ნერვიულობას, შესაძლოა, მშობიარობისთვის პრობლემები შეექმნა, არადა, გამოძიება ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებოდა. ამიტომ, გამომძიებლები სასწრაფო დახმარების ბრიგადას შეუთანხმდნენ, კორპუსთან დააყენეს, სადაც გინეკოლოგიც იყო და მშობიარობისთვის საჭირო მოწყობილობა, თავად კი ქალის დასაკითხად მივიდნენ. რა თქმა უნდა, ისეთი დრო შეარჩიეს, როცა ქმარი შინ არ იყო. ქალმა ჩამქრალი თვალებით შეხედა გამომძიებლებს და შინ უხალისოდ შეიპატიჟა. სახეზე ეტყობოდა, ძალოვნების ვიზიტის მიზეზს კარგად ხვდებოდა და არაფერი დაუმალავს.

„როცა გავიგე, რომ ქმარს შვილი არასდროს ეყოლებოდა, ნამდვილი შოკი მივიღე. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ჩემთვის ქმარი იდეალური მამაკაცია, ჰო, იდეალური, რადგან კარგ ადგილზე მუშაობს, ვუყვარვარ, მომავალში უკეთესის პერსპექტივა აქვს. განათხოვარი ქალის ხვედრი კი ძნელია. მე შვილი მინდოდა, შვილი და ის ხელოსანი ბიჭიც იმ იმედით დავიახლოვე, რომ დავორსულდებოდი. არ ვიცი, საიდან გაიგო და როგორ მიხვდა, რომ შვილს მისგან ველოდი და ახლა მთხოვს, ქმარს დავშორდე და ცოლად მას გავყვე. არადა, ჩვეულებრივი ქარაფშუტაა, თუ სამუშაო არ აქვს, მეზობლებს ეხმარება და საჭმელს იქ აჭმევენ, ამით ბედნიერია. გადავწყვიტე, თავიდან მომეშორებინა, ავედი, საწამლავი ავიტანე, ღვინო ჭიქაში ჩაასხა და წამალი ჩავუყარე, მაგრამ მერე, ვიღაცამ დაურეკა, დახმარება სთხოვა და ამან კიდევ, ღვინის სუნი რომ ამდიოდეს, არ მინდა, სირცხვილიაო და იმის ნაცვლად, სამზარეულოს ნიჟარაში ან ბოთლში ჩაესხა, პირდაპირ ფანჯრიდან გადაასხა. სულ ეს იყო. ვნანობ, არ ვიცი, მე მხოლოდ ის მინდა, შვილი მყავდეს და იმ კაცთან ერთად გავზარდო, რომელსაცახლა ჩემი ქმარი ჰქვია“, – განაცხადა ქალმა.

ყველაფრის მიუხედავად, გამოძიება იძულებული იყო, საქმე მკვლელობის მუხლით აღეძრა. როგორც კი კაცმა გაიგო, რომ ცოლმა უღალატა, მაშინვე სახლიდან გააგდო და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. ხელოსანმა გაოცებისგან პირი დააღო, მაგრამ მერე ხელი აიქნია და ქალს ცოლობა ისევ შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო. სასამართლომ ყველაფრის გათვალისწინებით, ქალს მხოლოდ პირობითი სასჯელი მისცა, მაგრამ ის ბავშვის მამას არ მისთხოვდა და სოფელში, მშობლებთან დაბრუნდა.

ყალბი მართვის მოწმობა 550 ამერიკულ დოლარად – დაკავებულია ოთხი პირი

ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე დაკავებულია ოთხი პირი. გამოძიების ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბრალდებულებმა, თანამზრახველებთან ერთად, დაამზადა და გაასაღა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სახელით გაცემული მართვის ყალბი მოწმობა და ყალბი ცნობა მართვის მოწმობის გაცემის შესახებ.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს ავტომანქანის მართვის ორი ცალი ყალბი მოწმობა და მის დასამზადებლად საჭირო სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე ვადით.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ს თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა, მოადგილეებთან ერთად, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ჰულუსი აქარის უმასპინძლა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის დირექტორი გიორგი არსოშვილი, დელეგაციის წევრებს ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ესაუბრა.

დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის, ასევე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოქმედი ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით დანერგილ ელექტრონული მონიტორინგის სისტემას.

ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ჰულუსი აქარის შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობას სხვადასხვა მიმართულებით.

ვახტანგ გომელაურმა ასევე აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ჩამოყალიბებულია აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რაც ქართული მხარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს მხარეთა შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობაზე. ვახტანგ გომელაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული მხარე ყოველთვის მზადაა თურქულ მხარესთან სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოებაზე.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებზე ისაუბრეს და იმედი გამოთქვეს, რომ ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი და ოთხი სპეცრაზმელი დამნაშავედ სცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის როინ შავაძის განზრახ უკანონო დაკავებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის ჯგუფური მკვლელობის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი და ოთხი სპეცრაზმელი დამნაშავედ სცნო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 16 აგვისტოს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ამავე სამმართველოს უფროსისა და მისი მოადგილის ხელმძღვანელობით, თითქოსდა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდებით, ქალაქ ბათუმში, კაფეში მყოფ როინ შავაძეს თავს დაესხნენ და ავტომატის კონდახების გამოყენებით სასტიკად გაუსწორდნენ.

როინ შავაძემ ძალადობის შედეგად სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო.

სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა თავდასხმის შედეგად გონებადაკარგული როინ შავაძე ავტომობილით შემთხვევის ადგილიდან წაიყვანეს და აჭარა-გურიის საზღვართან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან მრავალჯერადი გასროლებით მოკლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ხუთივე ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 16-16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. დანიშნული სასჯელი „ამნისტიის შესახებ“ კანონით შემცირდა და საბოლოოდ ბრალდებულებს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა, ჯამში, 12 პირის მიმართ დაიწყო. აქედან, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის და ერთი სპეცრაზმელის საქმე, უკვე განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და ორივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში. მოცემულ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენის და მხილების მიზნით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ვალენსიამ“ ფასი თქვა – მამარდაშვილი 35 მილიონი ევრო ღირს

ყველაზე კარგად, „ვალენსიას“ ხელმძღვანელობა ხვდება, რომ სეზონის ბოლოს, გუნდის ყველაზე ძვირადღირებულ მოთამაშეს, გიორგი მამარდაშვილს არავინ დაუტოვებს და ამიტომ, თადარიგი აქედანვე დაიჭირეს. ის, რასაც ყველა ელოდა, გასულ კვირას ითქვა – „ღამურებმა“ ქართველი კიპერი 35 მილიონი ევროდ დააფასეს.

„იმის გათვალისწინებით, როგორ თამაშობს მამარდაშვილი და კიდევ იმის, რომ ის ჯერ მხოლოდ 23 წლის არის, 35 მილიონი ბევრი ნამდვილად არაა. მას განსაკუთრებით ინგლისის პრემიერლიგის კლუბები აკვირდებიან, რადგან გრანდებსაც კი საიმედო კიპერი უბრალოდ არ ჰყავთ. სეზონის ბოლოს, მამარდაშვილი გუნდს აუცილებლად გამოიცვლის, მაგრამ ესპანეელები აცხადებენ და ამბობენ, რომ არ აჩქარდებიან და მოლაპარაკებებს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამართავენ. მათ იმედი აქვთ, რომ კონტინენტის პირველობაზე პირველად მოხვედრილი საქართველოს ნაკრები წარმატებულად იასპარეზებს, ერთ-ერთი მთავარი გმირი კი, სწორედ კიპერი იქნება და შესაძლოა, ამ ტურნირმა მისი ფასი კიდევ რამდენიმე მილიონით გაზარდოს“, – წერს ევროპული მედია.

გიორგი მიქაუტაძე „მეცს“ მხსნელად ევლინება

აი, რატომ ვერ ვითამაშე „აიაქსში“

როცა მიმდინარე სეზონის სტარტის შემდეგ, გიორგი მიქაუტაძე ფრანგული „მეციდან“ ნიდერლანდურ „აიაქსში“ გადავიდა, ყველას გვეგონა, რომ ეს დიდი კარიერის დასაწყისი იქნებოდა, მაგრამ ზარ-ზეიმით, 16 მილიონად ნაყიდი ქართველი, სათადარიგოთა სკამზე დასვეს და მეტიც, ის იმ ფეხბურთელად აქციეს, რომელიც ძირითად დროს სკამზე ატარებს. ყველას უკვირდა, რატომ არ იყენებდნენ გიორგის პოტენციალსა და შესაძლებლობებს ამსტერდმელები მაშინ, როცა არც თუ კარგი დროება ედგათ და საბოლოო ჯამში, მიქაუტაძე ისევ „მეცში“ დაბრუნდა, ამჯერად იჯარით და სეზონის ბოლოს, ფრანგულ კლუბს უფლება ექნება, იგი 13 მილიონად გამოისყიდოს. საფრანგეთში დაბრუნებული მიქაუტაძე ძველებურად ათამაშდა, გოლებიც გაიტანა, საგოლე გადაცემებიც შეასრულა და კვლავ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად იქცა.

„ბევრი მეკითხება, რატომ ვერ ვითამაშე „აიაქსში“. პასუხი მარტივია – რომ ჩავედი, სასტუმროში ორი თვე მარტო ვცხოვრობდი, კლუბმა თავი არ შეიწუხა, ჩემთვის ბინა მოეძებნა და ექირავებინა. დამოუკიდებლად ვიქირავე ბინა და ოჯახიც ჩავიყვანე. შემდეგ იყო უნდობლობა, არ მათამაშებდნენ, ცოტა დროს მითმობდნენ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ არავის ვაინტერესებდი. ახლა კი, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, რადგან მას შემდეგ, რაც „მეცში“ იჯარით დავბრუნდი, ამსტერდამიდან არავინ შემხმიანებია, არავის მოვუკითხივარ, უბრალოდ დამივიწყეს და მგონი, აღარც ახსოვთ, რომ მათი ფეხბურთელი ვარ. ხომ შეიძლება, ფეხბურთელს დაურეკო, გაამხნევო, ელემენტარულად, დუბლი მიულოცო, მაგრამ არა, ასეთი რამ არ მომხდარა“, – განაცხადა მიქაუტაძემ, რომელიც ძალიან დიდი ალბათობით, „მეცში“ დარჩება, თუ კლუბი მოახერხებს და უძლიერესთა შორის ადგილს შეინარჩუნებს. გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ ამაში მათ სწორედ მიქაუტაძე უნდა დაეხმაროთ, რომელიც თანაგუნდელთა შორის, მართლაც საუკეთესოა.

საფრანგთის ჩემპიონატის 30-ე ტურის შეხვედრაში, მიქაუტაძის „მეცი“ უშუალო კონკურენტს, „ლე ჰავრს“ ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში, 1:0 დაამარცხა. ერთადერთი გოლი ქართველი შემტევის ანგარიშზეა და რა გასაკვირია, რომ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელადაც სწორედ ის დაასახელეს. ბოლო სამ შეხვედრაში, გიომ მეხუთე გოლი გაიტანა. რაც მთავარია, ამ მოგებით, „მეცმა“ გასავარდნ ზონას თავი დააღწია და ადგილი სწორედ „ლე ჰავრს“ გაუცვალა. დარჩენილ ოთხ ტურში, „მეცს“ რთული კალენდარი აქვს, მითუმეტეს, ბოლო ტურში, საკუთარ მოედანზე, „პარი სენ ჟერმენს“ მასპინძლობს და ვინ იცის, ეგებ, ჟორჟმა საფრანგეთის ჩემპიონებთანაც გაიბრწყინოს.

თურქეთი საქართველოსთან ფავორიტია

18 ივნისამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა და სულ უფრო ახლოვდება ის დღე, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები, ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააგორებს ბურთს. პირველი შეხვედრა დორტმუნდში, თურქეთთან გვაქვს და მატჩის ყველა ბილეეთი უკვე გაყიდულია. როგორც ამბობენ, ბილეთების აბსოლუტური უმრავლესობა ქართველმა გულშემატკივრებმა შეიძინეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ თურქეთს გერმანიაში ძალიან დიდი დიასპორა ჰყქვს, ოფიციალურად, იქ 3 მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს და უბილეთოდ რომ არ დარჩებოდნენ ,ადვილი მისახვედრია. ანუ, მოედნის გარდა, ტრიბუნებზეც გვარიანი დაპირისპირება გველდოება.

საბუკმეიკერო კანტორებმა უკვე შეაფასეს მომავალი შეხვედრა და თურქეთის გამარჯვება 1.75-ად შეფასდა, ფრე – 3.80-ად, ხოლო საქართველოს მოგებაზე ფსონის დადების მსურველებს 4.33-იანი კოეფიციენტი აქვს. ისე, საქართველოსთან შეხვედრაში საბერძნეთიც ფავორიტი იყო და ღმერთმა ქნას, საბუკმეიკერო კანტორებს მოლოდინი ამჯერადაც გაუცრუვდეთ.

„ნაპოლის“ ტიფოზები ფეხბურთელებს ემუქრებიან

მოდით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვთქვათ – იტალიის მოქმედი ჩემპიონი „ნაპოლი“ შარშანდელის აჩრდილიც აღარ არის. გუნდმა წელს სამი მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა და როგორც ახლა გაირკვა, ფრანჩესკო კალცონა სიტუაციას საერთოდ ვერ აკონტროლებს. იტალიის ჩემპიონატის 33-ე ტურში, „ნაპოლი“ გადარჩენისთვის მებრძოლ „ემპოლის“ სტუმრობდა და ყველა ლოგიკით, მარტივად უნდა მოეგო, მაგრამ... ასეთი უსუსური გუნდი, იტალიის ჩემპიონატში, სავარაუდოდ, ამ ეტაპზე, არცერთი არ არის. ფეხბურთელები იმდენად უხალისოდ და უილაჯოდ, ენთუზიაზმისა და მონდომების გარეშე თამაშობდნენ, რომ შესვენებაზე, გასახდელში კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისიც კი ჩავიდა და ნამდვილი ჯოჯოხეთი იხილა. მოთამაშეები მწვრთნელს „აკაჩავებდნენ“, ძირითადში ნათანი რომ დააყენე, მაგის ნაცვლად, პასკუალე მაცოკი უნდა დაგეყენებინა, ხომ ხედავ, ნათანი არაფრის მაქნისიაო. მწვრთნელმა ფეხბურთელების მთხოვნას ვერ გაუძლო და მეორე ტაიმი ნათანის ნაცვლად სწორედ მაცოკიმ დაიწყო, თუმცა ციდან ვარსკვლავები არც მას მოუწყვეტია. გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება ჰქონდა ხვიჩა კვარაცხელიას, რომელიც მწვრთნელმა მეორე ნახევარში შეცვალა. მოკლედ, ნეაპოლელებმა 1:0 წააგეს და...

გუნდს ემპოლიში 4 ათასამდე ქომაგი გაჰყვა და ნამატჩევს მათ ფეხბურთელებთან საუბარი მოითხოვეს. ტიფოზებთან კაპიტანი დი ლორენცო მივიდა, ეგონა, მისი ავტორიტეტი აგრესიას გადაწონიდა, მაგრამ ქომაგებმა ლამის გაწიწკნეს და ურჩიეს, ფეხბურთელებმა ის ფორმა გაიხადონ, რომლის ტარების ღირსიც აღარ არიან. დე ლაურენტისი, რომელმაც შეხვედრას ბოლომდე არ უყურა, აპირებს, ფეხბურთელები ყაზარმულზე გადაიყვანოს და ბაზაზე გამოკეტოს, თუმცა რას მოუტანს ეს, ძნელი სათქმელია. დროა, კვარამ გუნდის გამოცვლაზე ძალიან, ძალიან სერიოზულად იფიქროს.

როცა თარჯიმანმა ინგლისური სათანადო დონეზე არ იცის...

გასულ კვირას, თურქეთში, მკლავჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი გათამაშდა და ჩემპიონობა ერთბაშად სამმა ქართველმა იზეიმა. ირაკლი ზირაქიშვილმა და დავით სამუშიამ ოქროს მედლები და შესაბამისად, საჩემპიონო ქამრები მოიპოვეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო, სუპერ მძიმე წონაში, ქართველი „ჰალკის“, ლევან საგინაშვილისა და კანადელი ჩემპიონი მკლავჭიდელის, დევონ ლარატის დაპირისპირება იყო. ტრავმის გამო, საგინაშვილს ერთი წელი გაუცდა, მანამდე კი, ლარატი მარტივად ჰყავდა დამარცხებული და კანადელი იმუქრებოდა, ქართველს ახლა მოვუგებო.

ძალიან საინტერესო იყო შეხვედრის წინ გამართული პრესკონფერენცია. ლევანი თავიდან ინგლისურად კი საუბრობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლარატმა გააკეთა განცხადება და ხმამაღლა გაიცინა, აქაოდა, ჩემი ტოლი და სწორი არ ხარო, „ჰალკმა“ თარჯიმანი იხმო და უთხრა, – **„ერთი, ამას უთარგმნე, ქათამივით ნუ ხავის, გამოვიდეს და თუ რამის თავი აქვს, გვაჩვენოს“...** თარჯიმანმა „ქათმის ხავილი“, სავარაუდოდ, სათანადოდ ვერ გადათარგმნა, რადგან გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქეთ.

შეხვედრას რაც შეეხება, ქართველმა მკლავჭიდელმა მის შემდეგ თქვა, ძალიან აქვს მომატებული, ეტყობა დროს უქმად არ კარგავდა და ვარჯიშობდაო. არადა, ლევანმა 4:0 მოიგო და ნეტავ რა შეატყო, ნავარჯიშევი იყო მეტოქე თუ არა.

ჩემპიონთა ლიგას ახალი გამარჯვებული ეყოლება

ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი, ჩემპიონთა ლიგა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ტიტულისთვის ბრძოლას ოთხი კლუბი აგრძელებს. ნახევარფინალში მადრიდის „რეალი“ მოინხენის „ბაიერნს“ დაუპირისპირდება (შეხვედრები 30 აპრილს და 8 მაისს გაიმართება), ხოლო დორტმუნდის „ბორუსია“ ურთიერთობას ფრანგულ „პარი სენ ჟერმენთან“ გაარკვევს (1 მაისი, 7 მაისი).

„რეალი“ ნახევარფინალში მოქმედი ჩემპიონის, „მანჩესტერ სიტის“ ძლევის შემდეგ გავიდა და შეიძლება, თამამად თქვას, რომ ესპანელთა თავკაცი კარლო ანჩელოტი, ინგლისელთა დამრიგებლისთვის, ხოსეპ გვარდიოლასთვის, ნამდვილ კოშმარად არის ქცეული. კარლიტომ კონკრეტულად გვარდიოლა და მისი გუნდი, ლიგიდან მეოთხედ დაითხოვა.

ნახევარფინალისტების ვინაობა ევროპა ლიგასა და კონფერენსლიგაზეც გაირკვა. **ევროპა ლიგაზე ერთმანეთს „რომა“ (იტალია) – „ლევერკუზენი“ (გერმანია) და „ატალანტა“ (იტალია) – „მარსელი“ (საფრანგეთი), ხოლო კონფერენსლიგაზე „ასტონ ვილა“ (ინგლისი) – „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) და „ფიორენტინა“ (იტალია) – „ბრიუგე“ (ბელგია) დაუპირისპირდებიან.**

ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲝᲛᲘ (ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ)

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს“.

გრ. ორბელიანი

1. ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ. ლაჟვარდისფერი გაუზომელი გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებითა და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელესა და ჰფენენ დაუსრულებელს სივრცეში სინათლესა და ლხენასა.

ამ სასიქადულო ქვეყნის სამსახურში ყველაზე მეტად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა. ესენი ჩვენს დედამიწას ისე უხვად უგზავნიან სინათლესა, რომ ბნელს ღამეს ამსგავსებენ ნათელს დღესა. ქება და დიდება ცის მნათობებსა და უპირველესად ყოვლისა მათ შემოქმედსა.

ასეთსავე საოცარს სამზერს წარმოადგენს სამოცდახუთის წლის მეფობა წარსულს საუკუნეში ერეკლე მეორის ანუ „პატარა კახისა“.

იგი დაუსრულებელი ბრძოლაა სინათლისა სიბნელესთან, თავისუფლებისა მონობასთან, ბრძოლა – სავსე საოცარი ვაჟკაცობით, მრავალის ბრწყინვალე გამარჯვებათ შორის, ორი კაშკაშებს განსაკუთრებული შუქითა.

ერევნისა და ასპინძის ომი – აი, ხარისთვალა და ცისკარი ერეკლეს სამხედრო მოქმედებაში.

პირველს – ერევნის – ომში ჩვენი სახელოვანი მეფე სამი ათასი კაცით შეებრძოლა თვრამეტ ათას სპარსელს ჯარსა, თავისი ხელით მოუკლა მას ერთი საუკეთესო წინამძღოლთაგანი, შიშის ზარი დასცა მტერსა, სძლია იგი, დააყრევინა ბევრი ზარბაზანი, წაართვა მრავალი სიმდიდრე და საშინლად დამარცხებული გააქცია.

მეორე – ასპინძის – ომში ისე იჩინა თავი, ისეთი საოცარი ვაჟკაცობა და სამხედრო ხელოვნება გამოიჩინა, რომ მთელი ევროპა განაცვიფრა, აღტაცებაში მოიყვანა თვით ფრიდრიხ დიდი, პრუსიის უძლეველი მეფე და სახელად დაერქვა „ასპინძის გმირი“.

ქება და დიდება ერეკლე მეფის სახელსა და დღეგრძელობა მის დამბადებელს და აღმზრდელს ქვეყანასა!

2. ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲔ

მე ამჟამად მწადია, მოგითხროდ ამბავი მხოლოდ ასპინძის ომისა.

1769 წელსა, რუსეთის იმპერატრიცამ – ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა. ამავე დროს მისწერა ქრისტიან ხალხებს, რომელნიც შავ ზღვას იქით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, რომ ისინიც შეიარაღებულიყვნენ, რუსეთისათვის მხარი დაეჭირათ და გალაშქრებულიყვნენ ოსმალეთზე, ამ ქრისტიანობის მტერზედა.

ესევე მოსწერა იმერეთის მეფეს სოლომონსა და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლესა. ბერძნებს, ჩერნოგორელებს, სერბიელებს, ბოლგარელებს და სხვა ხალხებს ბალკანეთის ნახევარკუნძულისას ეშინოდათ ოსმალეთისა და ყური მოიყრუეს, ომში მონაწილეობა არ მიიღეს. სრულიად სხვარიგად მოიქცა ერეკლე მეფე. მაშინვე შეუდგა სალაშქრო მზადებას და ომიც გამოუცხადა ოსმალეთსა.

ესე მოიქცა ჯერ იმიტომ, რომ უნდოდა ეამებინა ეკატერინესათვის და რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა და მეორე იმიტომ, რომ ამ ომიდან ის თავისი სამეფოსთვის დიდს სიკეთეს მოელოდა.

ჯავახეთი და ახალციხის მხარე, ქართველი ტომით დასახლებული, უძველესი დროიდან საქართველოს ეკუთვნოდნენ; მაგრამ იმის წინა საუკუნეში ოსმალეთმა ისარგებლა საქართველოს სისუსტით, ეს ქვეყნები გამოჰგლიჯა ხელიდან და დაისაკუთრა.

და აი, ერეკლეს ეწადა, რუსეთის ჯარის დახმარებით წაერთმია ეს ორი მხარე ოსმალეთისთვის და შემოეერთებინა საქართველოსთანა.

უფრო კიდევ მომეტებული სიამოვნებით მიემხრო რუსეთს სოლომონ მეფე, რომელიც უამისოდაც ებრძოდა ოსმალეთსა.

დუბაიში ოქროს ბანკნოტები გამოჩნდა

კუპიურის ქაღალდი 0.1 გრამ, 24-კარატიან ოქროს შეიცავს. მასზე დუბაის ღირსშესანიშნაობებია გამოსახული. როგორც ყველა ფული, სერია მასაც აქვს, თუმცა გადახდისუუუნაროა – კუპიურა საკოლექციო სუვენირია. ეს „ოქროს ფული“ რაჰულ საგარმა დაამზადა, რომელიც ოჯახის ტრადიციას აგრძელებს და მეხუთე თაობის იუველირია. 24-კარატიანი ოქროს კუპიურა უახლესი საწარმოო პროცესების დახმარებით დამზადდა. ოქროს უთხელესი ფენა პოლიმერული სუბსტრატის ფენებს შორის არის მოქცეული, რომელიც ოქროს იცავს და მას გამძლეს ხდის. ამ კუპიურას უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ, ის ჩვეულებრივი, თუმცა ძალიან ლამაზი ქაღალდია, მეორე მხრივ კი, ოქრო, რომელიც მასშია, ნებისმიერ დროს შეიძლება ამოიღონ. „ოქროს ფულები“ ხელმისაწვდომია Dian Jeweller-ისა და Shaitilal Jewellers-ის მაღაზიებში. მისი ფასი 159 დირჰამია (დაახლოებით, 40 ევრო) და სამახსოვრო ყდა აქვს.

ქირურგი ორგანოებზე ავტოგრაფს ტოვებდა

ნისლიან ალბიონზე, ქირურგის ლიცენზია ჩამოართვეს მედიკოსს, რომელიც ტრანსპლანტაციისას, პაციენტების დონორულ ღვიძლზე საკუთარ ინიციალებს ტოვებდა. უკვე ყოფილმა ქირურგმა საიმონ ბრემჰოლმა, ოპერაციის დროს, ორი პაციენტის ღვიძლზე ლაზერით საკუთარი ინიციალები ამოტვიფრა. ექიმმა ბრალდება უკვე აღიარა. ეს ამბავი კი მაშინ გახმაურდა, როცა ერთ-ერთი პაციენტის ორგანიზმმა არ მიიღო დონორის ორგანო და მას ხელახალი ოპერაცია დასჭირდა. სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს ღვიძლზე ქირურგის „ავტოგრაფი“. ჯერჯერობით, უცნობია, თემიდამ რა განაჩენი გამოუტანა ავტოგრაფის დატოვების მოყვარულ ქირურგს.

უპატრონო მიცვალებულებს პოეტი გლოვობს



ჰოლანდიაში, თუ გარდაცვლილ ადამიანს არც ოჯახის წევრი და არავინ ახლობელი აღმოაჩნდა, მის დაკრძალვაზე პოეტი მიდის. იდეა, რომელიც ამსტერდამში დაიბადა, შემოქმედი ადამიანისგან ინდივიდუალური ლექსის წაკითხვას მოითხოვს, რომელიც გარდაცვლილის ცხოვრებას ასახავს და მხოლოდ მას ეძღვნება. ეს ყველაფერი კი იმისთვის არის საჭირო, რომ ადამიანი მარტო არ იყოს საკუთარ დაკრძალვაზე. პროექტს The Lonely Funeral ჰქვია და მისი ავტორი ფრენკ სტარიკია. ამსტერდამში, წელიწადში 20-ზე მეტი ასეთი სამგლოვიარო ცერემონია ტარდება. პოეტები გარდაცვლილის სახლში მიდიან, დაკრძალვისთვის შთაგონება რომ ეწვიოთ და „პოეზიის კითხვისთვის“ მზად იყვნენ. სტატისტიკის მიხედვით, დღეისთვის, პოეტებმა 300-ზე მეტი „მარტოხელა დაკრძალვა“ ჩაატარეს და ღირსება დაუბრუნეს მათ, რომლებიც მარტოობაში გარდაიცვალნენ. პროექტის ავტორის თქმით, ეს ინიციატივა, ასევე, საზოგადოებაში მარტოობის შესახებ ცნობიერებასაც ამაღლებს.

საბერძნეთი ტურისტებს უფასოდ ასვენებს?

ცნობილი ბრიტანული გამოცემა The Guardian-ი წერს, რომ საბერძნეთის მთავრობა აპირებს, იმ ტურისტებს, რომელთაც შარშან ზაფხულში, ტყის ხანძრების გამო, დასვენება ჩაეშალათ, წელს უფასოდ უმასპინძლებს. 25 ათასამდე დაზარალებული დამსვენებლისთვის, რომელთა შორის უმრავლესობა ბრიტანელია, კომპენსაციები უკვე გაიცემა. ტურიზმის ადგილობრივი ოფიციალური პირების თქმით, ეს მსოფლიოში პირველი პრეცენდენტია. გასულ წელს, ზაგხულში, ზუსტად ტურისტული სეზონის პიკის დროს, ტყის მასშტაბურმა ხანძრებმა კუნძული როდოსი და კორფუ მოიცვა. ხელისუფლებამ ისტორიაში ყველაზე დიდი ევაკუაცია გამოაცხადა, რის გამოც ბევრი ტურისტი იძულებული გახდა, შვებულება შეეწყვიტა. პროგრამის ფარგლებში, როდოსის სასტუმროებში გაჩერებული დამსვენებლები, ერთკვირიანი ხარჯის დასაფარად 500 ევრომდე ელექტრონულ ვაუჩერებს მიიღებენ. ამ ინიციატივამ დიდი დაინტერესება გამოიწვია და პროგრამაში უკვე 5 ათასზე მეტი ტურისტი დარეგისტრირდა.

მაღაზიებში ხილის სკანერები დადგეს



ევროპულ სუპერმარკეტებში ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი სკანერები გამოჩნდა, რომლის დახმარებითაც მყიდველს შეუძლია, ინფორმაცია მიიღოს ხილის სიმწიფის შესახებ. მოწყობილობა, რომელსაც Onethird ჰქვია, უკვე დგას ნიდერლანდების, ესპანეთისა და შვეიცარიის მაღაზიებში, გერმანია კი მის საპილოტე ვერსიას ორიოდე კვირაში დაიწყებს. ჯერჯერობით, სკანერის გამოყენება მხოლოდ ავოკადოს სიმწიფის დადგენაში დაეხმარება მყიდველებს, თუმცა იგეგმება, რომ ის სხვა ხილის, მაგალითად, მანგოს, ნესვის ან კივის შესამოწმებლადაც გამოიყენონ.

კანარის მოსახლეობა მანქანებში ცხოვრობს

კანარის კუნძულებზე, ტურისტების სიჭარბის გამო, ადგილობრივები იძულებულნი არიან, ავტომობილებში იცხოვრონ, – ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ბრიტანული არხი Sky News. მოსახლეობა ჩივის, რომ ეს პოპულარული მზიანი დასასვენებელი ადგილი, ტურისტების დიდი რაოდენობის გამო, „სოციალურად და ეკოლოგიურად განადგურებულია“, ხოლო საცხოვრებლებზე ფასების ზრდის გამო, იძულებულნი არიან, ავტომობილებში ან გამოქვაბულებშიც კი იცხოვრონ. არხის ცნობით, ადგილობრივები საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზდებიან. გარემოსდამცველები აცხადებენ, რომ ადგილობრივებს ტურისტების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ ინდუსტრია სწრაფად იზრდება და იმდენ რესურსს მოიხმარს, რომ კუნძული ამას ვერ უმკლავდება.

ავიაკომპანია ძაღლებს ემსახურება

პირველი ავიაკომპანია მსოფლიოში, რომელიც ძაღლებს მოემსახურება, აშშ-ში შეიქმნა. Bark Air-მა ჩარტერული რეისები დანიშნა ნიუ-იორკიდან – ლოს-ანჯელესსა და ლონდონში, რომელზეც ცხოველები სრულფასოვანი მგზავრების რანგში იქნებიან. აფრენა-დაფრენისას, ისინი სპეციალურ სასმელს მიიღებენ, რომელიც ყურების დაცობისგან დაიცავთ. სალონში დამამშვიდებელი მუსიკაც იქნება ჩართული. სტიუარდესები მათ გამაგრილებელ პირსახოცებს შესთავაზებენ, ლავანდისა და ფერომონების სურნელით. ოთხფეხა მგზავრებს ტკბილეულს, ხმაურის დამხშობ ყურსასმენებსა და დამამშვიდებენ ჟილეტებსაც მიართმევენ. პირველი რეისები უკვე მაისში უნდა შესრულდეს. ბილეთი ერთი მიმართულებით 6-დან 8 ათას დოლარამდე ეღირება.

„მზარდი“ ბოტასები ბავშვებისთვის

იტალიელმა დიზაინერმა, მიქელე დი კარლომ რეგულირებადი სპორტული ფეხსაცმელი 4Steps შეიმუშავა, რომლის ზომაც ადვილად იცვლება. ამისთვის საჭიროა, სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდილი ბოტასები დაშალოთ და გაჭიმოთ. სიახლის ავტორი ვარაუდობს, რომ მისი შექმნილი სპორტული ფეხსაცმლით 6-დან 14 წლამდე ბავშვები და მოზარდები ისარგებლებენ. მათ მშობლებს კი, ყოველ წელს, შვილებისთვის ახალი ფეხსაცმლის ყიდვა აღარ მოუწევთ.

„ღია კარის“ დღე ბორდელში

ახალი ზელანდიის ქალაქ ხეორაში მდებარე ბორდელის – Adult Fun Spot ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, „ღია კარის“ დღე მოაწყოს, რომლის დროსაც შემოსული თანხა მთლიანად ადგილობრივ ბავშვთა საქველმოქმედო ფონდს – Kai Kitchen გადაეცემა. ეს ორგანიზაცია გაჭირვებულ ბავშვებს უფასო, ჯანსაღ კვებას სთავაზობს. ფონდის ხელმძღვანელის განცხადებით, მისთვის სულერთია, ვინ ჩარიცხავს ფულს მათ ანგარიშზე, მთავარია, რომ ისინი მათ საქმეს გვერდში უდგანან. „ღია კარის“ დღეზე ყველა სტუმარს ბორდელში ექსკურსიას მოუწყობენ, მისი თანამშრომლები კი სტუმრების კითხვებსაც უპასუხებენ. ამ ღონისძიების დღე, ჯერჯერობით, უცნობია, ადგილობრივმა ქრისტიანულ-კონსერვატიულმა ორგანიზაციებმა ის უკვე გააპროტესტეს. ახალ ზელანდიაში პროსტიტუცია 2003 წლიდან დაკანონებულია.

გაზიან სასმელებზე გადასახადს აწესებს

ესტონეთის მთავრობამ შაქრის შემცველ სასმელებზე, ეგრეთ წოდებული, „ლიმონათის გადასახადის“ კანონპროექტი დაამტკიცა. გადასახადის რაოდენობა პროდუქტში შაქრისა და სხვა დამატკბობლების შემცველობაზეა დამოკიდებული. კერძოდ, 100 მლ სასმელზე, 5 გრამზე მეტი შაქრის შემცველი სასმელები დაიბეგრება. 5-დან 8 გრამამდე გადასახადი, ლიტრზე – 0.15 ევრო იქნება. თუ შაქრის შემცველობა 8 გრამზე მეტია, ლიტრი 0.45 ევროთი დაიბეგრება. დამატკბობლების შემცველი სასმელები 0.15 ევროთი დაიბეგრება. გადასახადისგან თავისუფლდება ხილის, კენკრისა და ბოსტნეულის წვენები, თუკი ისინი შაქარს ან დამატკბობლებს არ შეიცავენ, ასევე, რძე და რძის პროდუქტები. თუ ქვეყნის პარლამენტი ამ კანონპროექტს დაამტკიცებს, ის მომავალი წლის იანვრიდან შევა ძალაში.

თეთრი ღვინო კბილებს ვნებს

თეთრი ღვინის სიყვარული და მისი ხშირი მიღება, შესაძლოა, ცუდად აისახოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ, კი კბილებზე. გერმანიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მკვლევარები აცხადებენ, რომ თეთრ ღვინოს შეუძლია, კბილის ემალს გაცილებით მეტი ზიანი მიაყენოს, ვიდრე წითელს. საქმე აქ ყურძნის მოკრეფის დროსა და ადგილში არ არის, არც ალკოჰოლში, არამედ, აქტიურ მჟავიანობაში, რაც ამ სასმელს ახასიათებს და ემალთან კონტაქტში შედის. ამასთან, სწავლულთა თქმით, თეთრ ღვინოსთან ერთად ყველის მირთმევა რამდენამდე ამსუბუქებს ნეგატიურ ეფექტს, პროდუქტში კალციუმის დიდი შემცველობის გამო. ლაბორატორიული ცდებისას, გერმანელი მეცნიერები თეთრ ღვინოში კბილებს მთელი დღით ათავსებდნენ და ემალი, რომელიც კალციუმისა თუ სხვა მინერალური ნივთიერებისგან შედგება, საკმაოდ დარბილდა.

დი კაპრიოს სინატრას როლში ვიხილავთ

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა, მარტინ სკორსეზემ განაცხადა, რომ სურს ბიოგრაფიული ფილმი გადაიღოს ლეგენდარულ ფრენკ სინატრაზე. გამოცემა Variety-ის ინფორმაციით, სურათში მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო შეასრულებს. გამოცემის წყაროს ცნობით, მომღერლის მეორე ცოლის, მსახიობ ავა გარდნერის როლი ჯენიფერ ლოურენსს ერგება. ჯერჯერობით, უცნობია, მიიღებს თუ არა სკორსეზე, სინატრას ქალიშვილისგან, ფილმის გადაღებაზე თანხმობას. როგორც გამოცემა წერს, ფილმი, შესაძლოა, კომპანია Apple-მა დაფინანსოს. პროექტზე პრეტენზიას აცხადებს კინოსტუდია Sony-ც.

პენსიონერებმა მთავრობას სასამართლო მოუგეს

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სტრასბურგში, პირველი ისტორიული გადაწყვეტილება გამოიტანა „კლიმატური უმოქმედობის“ ხმაურიან საქმეზე. შვეიცარიის მცხოვრებმა 2 ათასზე მეტმა ასაკოვანმა ქალბატონმა კოლექტიური საჩივარი შეიტანა სტრასბურგში, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ საკუთარი სქესისა და ასაკის გამო (უმრავლესობა 70-ს გადაცილებულია), განსაკუთრებით რთულად გადააქვთ ექსტრემალური სიცხის პერიოდები, რომელიც ევროპაში სულ უფრო ხშირი და მზარდია, კლიმატის გლობალური ცვლილების გამო. მოსარჩელეები შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ ამაში პასუხისმგებლობა, გარკვეული ხარისხით, შვეიცარიის მთავრობას მიუძღვის – მან ვერ გაართვა თავი სასათბურე აირების მკვეთრი შემცირების თაობაზე აღებულ ვალდებულებას. ამის გამო, ზაფხულობით, მოხუც ქალებს ზოგჯერ სახლიდან გამოსვლაც კი არ შეუძლიათ. მოკლედ, ევროპულმა სასამართლომ პენსიონერების მხარე დაიჭირა და დაადგინა, რომ შვეიცარიამ ნამდვილად „არ შეასრულა პარიზის კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულება, რომელიც კლიმატის ცვლილებას ეძღვნება“. ამგვარად, დაირღვა ქვეყნის ყველა მცხოვრების, განსაკუთრებით კი, სწორედ ასაკოვანი ქალების უფლებები. „ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებთ, რომ სასამართლომ ასეთი ვერდიქტი მიიღო, – აცხადებენ გაოგნებული მოსარჩელეები, – ნუთუ, ეს მართალია? ეს იმის მაქსიმუმია, რისი იმედიც გვქონდა“.

ჩიწაკიან ნაყინს უფასოდ სთავაზობენ

პატარა იაპონურ დასახლება ხირატაში, რომელიც ფუკუსიმას პრეფექტურაშია, ტურისტებს ნაღების ნაყინს მწარე წიწაკა ჰაბანეროს დამატებით სთავაზობენ. საქმე ის არის, რომ მწარე წიწაკის მომყვანებმა გასაღების ბაზარი ვერ იპოვეს, ამიტომ ფერმერებმა გადაწყვიტეს, ტურისტებისთვის რეალითი-შოუ მოაწყონ და ბოსტნეული ნაყინის ინგრედიენტად შესთავაზონ. ამ ცივი დესერტის გამყიდველები, რომლებიც დამცავი სათვალითა და ხელთათმანებით არიან აღჭურვილები, კლიენტებს ნაყინზე დაფქვილ ჰაბანეროს უყრიან, იმის გათვალისწინებით, ვის როგორი ხარისხის სიმწარე სურს გასინჯოს. ნაყინი 500 იენი ღირს, ყველაზე გაბედული მყიდველი კი, რომელიც ნაყინს წიწაკის ჯოჯოხეთური (ძალიან მწარე) პორციით შეჭამს, ცივ დესერტს უფასოდ მიიღებს.

შვილებს აპოკალიფსისთვის ამზადებს

დიდ ბრიტანეთში, მარტოხელა დედამ გადაწყვიტა, შვილებს დამოუკიდებელი ცხოვრება ასწავლოს. მან მთელი ქონება გაყიდა და სახლი ბორბლებზე შეიძინა, სადაც არც შხაპია, არც ტუალეტი და არც გათბობა. ქალის აზრით, აპოკალიფსის შემთხვევაში, მისმა შვილებმა გადარჩენა უნდა შეძლონ. არასრულწლოვნებს დედამ პნევმატური იარაღიდან სროლა, თავდაცვის უნარ-ჩვევები და საკვების მოპოვება ასწავლა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ისინი კვირაში ერთხელ ბანაობდნენ, ბაბუის სახლში. ცოტა ხნის წინ, ოჯახი საცხოვრებლად სახლში დაბრუნდა. ქალმა გადარჩენის კურსების წაყვანა დაიწყო, რაზეც აღმოჩნდა, რომ მოთხოვნა დიდია. ბრიტანელი ქალბატონი ამჟამად ოცნებობს, კვლავ გათიშოს ინტერნეტი და საცხოვრებლად საფრანგეთში, ისევ ბორბლებზე სახლში გადავიდეს.

ადამიანის დნმ-ის რედაქტირება დაიწყეს

ჩინეთში აქტიურად შეუდგნენ ადამიანის გენომის რედაქტირებაზე მუშაობას. სწავლულებს სჯერათ, რომ ეს დაეხმარება კაცობრიობას, თავი დააღწიოს საშიშ დაავადებებს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ამ სფეროში ჩინელები გაცილებით წინ წავიდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნები. ამას ქვეყნის ლოიალური კანონმდებლობაც უწყობს ხელს. სხვაგან ადამიანის გენომის შეცვლაზე ექსპერიმენტები არ არის ნებადართული. ჩინელები ექსპერიმენტებს მოხალისეებზე ატარებენ, რომლებიც ცდებში მონაწილეობას დათანხმდნენ. ამის წყალობით, ჩინეთი ამ სფეროში მსოფლიო ლიდერია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დნმ-ის რედაქტირების (საწყის მდგომარეობაში დაბრუნება) გზით, შესაძლებელია არა მხოლოდ სიმსივნისგან თავის დაღწევა, არამედ, ყველა იმ საშიში დაავადების თავიდან აცილებაც, რომლებიც ძალიან ხშირად ლეტალური შედეგით სრულდება.

წყურვილის გარეშე წყლის დალევა საზიანოა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის სმა, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, ვნებს ორგანიზმს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, ადამიანი შეიძლება წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსება შესაძლებელია მარილის დიდი რაოდენობით მიღებისას, თუმცა ამან, შეიძლება, გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი რაოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ხელოვნური ინტელექტი დანაშაულს წინასწარმეტყველებს

ამერიკელმა სწავლულებმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, ალგორითმი შექმნეს, რომელიც 90%-იანი სიზუსტით წინასწარმეტყველებს, სად მოხდება თავდასხმა ან ქურდობა ერთი კვირის შემდეგ. რადიუსი – 300 მეტრია. ჯერჯერობით, ეს ყველაზე დახვეწილი მეთოდია მსგავს ნამუშევრებს შორის. ხელოვნურმა ინტელექტმა დანაშაულის პროგნოზირება ღია მონაცემების საფუძველზე ისწავლა. ეს კანონზომიერების მონაცემებია დროში და დანაშაულის ჩადენის ადგილებზე. ალგორითმი ჩიკაგოში, ატლანტაში, ოსტინში, ლოს-ანჯელესსა და აშშ-ს სხვა დიდ ქალაქებში დატესტეს. „ჩვენ ქალაქის გარემოს ციფრული ორეული შევქმენით. თუ მას მივაწვდით მონაცემებს, რა მოხდა წარსულში, ის გვეტყვის, რა მოხდება მომავალში“, – გვიხსნიან ალგორითმის ავტორები.

მაღაზიებში ვერტიკალური ფერმები დადგეს

სამხრეთ აფრიკულმა რიტეილერმა – Pick n Pay, სასათბურე ფერმასთან – CAN-Agri ერთად, გადაწყვიტა, მაღაზიებში „ვერტიკალური ფერმები“ დადგას, რათა მყიდველებს მეურნეობისადმი ინოვაციური მიდგომები აჩვენონ. ეს მიდგომები 95%-ით ნაკლები წყლის, სასუქისა და პესტიციდების გამოყენებას ითვალისწინებს. ქალაქ სენდტონისა და კეიპტაუნის მარკეტებში უკვე დაიდგა ასეთი ფერმები – 24 რიგი მწვანე მცენარეებით და ბუნებრივი განათებით. ასე მყიდველი თვალნათლივ ხედავს მოსავლის მოყვანის უფრო მდგრადი მეთოდების დანერგვის შედეგსა და საკვები ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტას. იდეის ავტორები აპირებენ, ახლო მომავალში სამხრეთ აფრიკის სხვა ქალაქებშიოც გაჩნდეს ასეთი „ვერტიკალური ფერმები“.

ბადრიჯანი სიმსივნის წინააღმდეგ

სწავლულები აცხადებენ, რომ ბადრიჯანი განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტია. ის ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგან გვიცავს. ეს ბაღჩეული კულტურა დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან იცავენ. ეს უკანასკნელი არღვევს უჯრედის სტრუქტურას, აჩქარებს დაბერების პროცესს და ხელს უწყობს ონკოლოგიის განვითარებას. კვლევების დადასტურებულია, რომ ბადრიჯანში შემავალი ნივთიერება – SRG კლავს სიმსივნურ უჯრედებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, აფერხებს გულსისხლძაღვრთა დაავადებების განვითარებას. ამ მელნისფერ ბოსტნეულს დღეგრძელობის პროდუქტსაც უწოდებენ, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში მისი დადებითი როლი გამორჩეულია. ბადრიჯანი მდიდარია უჯრედისით, პექტინითა და ცილებით. ის შეიცავს კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, ცე, ბე და პე-ჯგუფის ვიტამინებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.